სასამართლო, როგორც საზოგადოების მცველი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში

ნაშრომები მომზადებულია
კოალიცია „დამოუკიდებელი და
გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“
ესეების კონკურსის ფარგლებში

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2024, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ნანო ზარანდია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი, მე-4 კურსი

შესავალი

დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლოს არსებობა, დარღვეული უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საზოგადოებისთვის. ნებისმიერ სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოში აუცილებელია, რომ ეს ინსტიტუტი გამიჯნული იყოს ხელისუფლების სხვა შტოებისგან, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იყოს მისი მიუკერძოებელი და ეფექტიანი ფუნქციონირება.

საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში სწორედ მართლმსაჯულების რეფორმაა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა, რომლის განხორციელებაც ევროკომისიის დათქმათაგან ერთ-ერთია. ამ ნაშრომში მოკლედ იქნება მიმოხილული ქართული სასამართლოს მდგომარეობა და მისი შესაბამისობა ევროკავშირის ქვეყნების სასამართლოებთან.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს სამართლიანი სასამართლოს ზოგადი მნიშვნელობა საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებასა და დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების პროცესში. სასამართლო ხელისუფლება სახელმწიფოში ერთ-ერთ არსებით შტოს განეკუთვნება, რომელიც მართლმსაჯულების განხორციელებას უზრუნველყოფს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სასამართლო ინსტიტუტის საქმიანობა იწვევდეს მაღალ ნდობას საზოგადოებაში. ქართულ რეალობაში ეროვნულ დონეზე გვაქვს სამი ინსტანციისგან შემდგარი საერთო სასამართლოების სისტემა და ცალკე საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც კონსტიტუციური კონტროლის ორგანოა. სასამართლო სისტემას, უშუალოდ სასამართლოების გარდა, ქმნიან იუსტიციის უმაღლესი საბჭო და იუსტიციის უმაღლესი სკოლა, რადგან ეს ორგანოები მონაწილეობენ მოსამართლეთა დაკომპლექტების პროცესში, შესაბამისად, სასამართლოს განვითარება და მართლმსაჯულების რეფორმა უპირველესად მათ უკავშირდება.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს, დღევანდელი გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან გამოწვევასთან უწევს გამკლავება, რომელიც ევროინტეგრაციის პროცესში გამოკვეთილ საკითხებს უკავშირდება. ამის თაობაზე 2023 წელს გამოქვეყნდა ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი. ის მოიცავდა ცხრა დათქმას, რომელთა შესრულების პირობითაც საქართველომ კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია მიიღო. ევროკომისიის მიერ გაცემულ ცხრა დათქმას შორის ერთ-ერთი სასამართლოს რეფორმის დასრულებაა, რაც გულისხმობს როგორც უშუალოდ ინსტიტუტთან დაკავშირებულ საკითხებს, ისე იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ცვლილებებს და პროკურატურის რეფორმას. ევროკომისია მიუთითებს, რომ მართლმსაჯულების რეფორმის განხორციელების პროცესში, არსებითია, ყურადღება მიექცეს ვენეციის კომისიის მიერ გაცემულ რეკომენდაციებსა და შეფასებას.[1] ამ ნაწილში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოს გადაწყვეტილებების საჯაროობას და ხელმისაწვდომობას, რომელთა არარსებობაც ამცირებს სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობას. საკანონმდებლო ცვლილების მიუხედავად, პრობლემურია გადაწყვეტილებებზე წვდომის საკითხი - ისინი იქამდე არ არის ხელმისაწვდომი, სანამ კანონიერ ძალაში არ შევა.

[1] 2023 წლის ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ მოხსენება, ხელმისაწვდომია: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11, განახლებულია: 2024.03.03.

სასამართლო სისტემის ხარვეზები ხშირად უკავშირდება იმ დარღვევებს, რომლებიც მუდმივ ხასიათს ატარებს საერთო სასამართლოების მხრიდან საქმეთა განხილვის დროს. ერთ-ერთი ასეთი გამოწვევაა საქმეთა განხილვის გაჭიანურება არაგონივრული დროით, ანუ კანონით განსაზღვრული ვადების დარღვევა.[2] ხოლო სასამართლოს მხრიდან ამგვარი დამოკიდებულება ნეგატიურად აისახება ამ ინსტიტუტის ნდობის ხარისხზე. მნიშვნელოვანია, მოქალაქეებს ჰქონდეთ შეგრძნება და გარანტია, რომ დარღვეული უფლების სამართლებრივი გზით დაცვის შესაძლებლობა ექნებათ, სასამართლო კი მათ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში და წესით მოეპყრობა.

განხილული დარღვევების გამო სასამართლოსადმი უნდობლობა მხოლოდ ერთი ასპექტია და მისი მოგვარება შედარებით მარტივად შეიძლება, რადგან პრობლემა, რეალურად, გაცილებით უფრო მასშტაბურია. სასამართლოსადმი ნდობის ჩამოყალიბების პროცესში ამ ორგანოს ფორმირების წესს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. შესაბამისად, ამ ინსტიტუტის პრობლემათა უმეტესი ნაწილი სწორედ იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არის დაკავშირებული. სამართლებრივ და დემოკრატიულ გარემოში, მნიშვნელოვანია, ამ ორგანოს ფორმირების პროცესი შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ასევე, გამჭვირვალედ და კანონის ფარგლებში უნდა განხორციელდეს თანამდებობებზე მოსამართლეთა დანიშვნა, ხოლო მასზე უარიც სათანადო სამართლებრივ დასაბუთებას უნდა შეიცავდეს. ამ სტანდარტების დაცვა მოთხოვნილია ევროკომისიისა და ვენეციის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციებით, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია მართლმსაჯულების რეფორმის ცალკეულ წამოწყებებზე, თუმცა, ეს საკმარისი არ არის. მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელებისთვის, აუცილებელია, რეფორმების ტალღამ მოიცვას ყველა პრობლემური ასპექტი და ეს პროცესები დროულად დასრულდეს.[3]

მოსამართლეთა დანიშვნის ეტაპზე დარღვევების არსებობა წარმოშობს შემდგომ რისკებს მათი დამოუკიდებლობის კუთხით სამოსამართლეო საქმიანობის განხორციელების პროცესში. დამოუკიდებლობის პრინციპი კი ერთ-ერთი უმთავრესია, რომელსაც მართლმსაჯულება უნდა ეფუძნებოდეს. შესაბამისად, მაქსიმალურად უნდა იყოს შემცირებული მოსამართლეებზე ზემოქმედების ყველა შესაძლო რისკი როგორც ხელისუფლების სხვა შტოს მხრიდან, ისე პოლიტიკური გავლენების თვალსაზრისით. ამ ყოველივეს გათვალისწინება არის უმთავრესი წინაპირობა, რათა სასამართლომ უზრუნველყოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა. სამართლიანი სასამართლო სისტემის არსებობა და საერთაშორისო სტანდარტებთან მისი შესაბამისობა შეუძლებელია, თუ ამ ორგანოს ფორმირების სწორი მეთოდები არ იქნება შემუშავებული. ამის გარეშე პრაქტიკაში უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დარჩება.

ევროკომისიის მიერ გაფართოების პოლიტიკის ფარგლებში გამოქვეყნებულ ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია იმ ქვეყნების პრაქტიკაზეც, რომლებმაც კანდიდატის სტატუსი მიიღეს, თუმცა, სასამართლო რეფორმის ნაცვლად, ამ მიმართულებით უკუსვლა განიცადეს.[4] ასეთი ქვეყნის მაგალითად ნაშრომში დასახელებულია თურქეთი.[5] ეს შეფასებები გასათვალისწინებელია ქართულ რეალობაშიც, რადგან კანდიდატის სტატუსი არ გამორიცხავს დათქმათა შესრულების აუცილებლობას, მათ შორის, მართლმსაჯულების რეფორმას, ვინაიდან სამართლიანი სასამართლოს ჩამოყალიბება ერთ-ერთი გადამწყვეტია ევროინტეგრაციის პროცესში. ანგარიშში ამ კუთხით მოცემული შეფასებები და შედარებები, გარკვეულწილად, აღქმული უნდა იყოს მითითებად, რომ კანდიდატის სტატუსის მოპოვება არ არის საბოლოო ეტაპი და სახელმწიფოს მხრიდან პროგრესის არარსებობა დააბრკოლებს მის შემდგომ ევროინტეგრაციას. გარდა კანდიდატის სტატუსის მქონე ქვეყნის მაგალითისა, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიდგომა ამ საკითხებისადმი, რადგან ამ ეტაპზე საქართველოც გადის იმ გზას, რომელიც ამ ქვეყნებმა ბევრად უფრო ადრე გაიარეს. მსგავსი პრაქტიკის გათვალისწინება და ასახვა ქართულ რეალობაში დადებითი ეფექტის მომცემი იქნება დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლოს ჩამოყალიბებისთვის.

კარგი პრაქტიკის მქონე ქვეყნის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ბელგია, რომელიც ევროკავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი სახელმწიფოა და 1957 წლიდან არის ევროკავშირის შემადგენლობაში. ცხადია, მასთან ქართული მართლმსაჯულების ხარისხის შედარება ნაადრევია, გამომდინარე სხვადასხვა ფაქტორიდან და განსხვავებებიდან, რომლებიც ამ ქვეყნებს შორის არსებობს. თუმცა, ბელგიის განხილვა საუკე-

[2] სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის #17 ანგარიში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files, განახლებულია: 2024.04.03.

[3] ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ 2023 წლის მოხსენება, ხელმისაწვდომია: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu, განახლებულია: 2024.05.07.

[4] ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ 2023 წლის მოხსენება, 2023, 27, ხელმისაწვდომია: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11, განახლებულია: 2024.05.07.

[5] იქვე, 27.

თესო მაგალითია ევროკავშირის ქვეყნებში საზოგადოებისთვის სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლოს მნიშვნელობის შესაფასებლად, ასევე იმ ფუნდამენტური ღირებულებების საილუსტრაციოდ, რომლებსაც ეფუძნებიან და მისდევენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები.

ევროკომისიამ 2023 წელს ბელგიის კანონის უზენაესობის თაობაზე ანგარიში გამოაქვეყნა,[6] რომელშიც სასამართლო სისტემის ფუნქციონირების საკითხებიც არის განხილული, შეფასებულია მიღებული რეფორმები, ასევე, გაცემულია ცალკეული რეკომენდაციები.[7] ანგარიშის მიხედვით, სასამართლოსადმი ნდობის ხარისხი საკმაოდ მაღალია, რაც მიუთითებს, რომ მისი ფუნქციონირება კანონით დადგენილ სტანდარტს შეესაბამება, ხოლო ხალხს აქვს განცდა, რომ მათი საქმე სასამართლოში დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად იქნება განხილული.[8] საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ კორუფციის დონე საჯარო სექტორში შედარებით დაბალია.[9] მსგავსი მაჩვენებელი კი სასამართლოს ფუნქციონირების ხარისხსა და მის სანდოობაზე დადებითად აისახება. ანგარიშში ასევე განხილულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საკითხიც. მართალია, ამ კუთხით რაიმე არსებითი ხარვეზი არ შეინიშნება, თუმცა ბელგია აგრძელებს რეფორმებს და ეს ორგანო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით ცალკეულ ცვლილებს კვლავ განიცდის.[10] მიუხედავად წევრობისა, ასევე, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხის მაღალი დონისა, ამ სახელმწიფოებში მონიტორინგი მაინც მიმდინარეობს. წევრობა მათ არ ათავისუფლებს იმ ვალდებულებებისგან, რომლებიც ამ სტატუსის მოსაპოვებლად განისაზღვრება.[11] თავად წევრი ქვეყნებიც ითვალისწინებენ რეკომენდაციებს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მართლმსაჯულების რეფორმის აუცილებლობაზე. მიუხედავად იმისა, რომ განხილულ სახელმწიფოში მართლმსაჯულებისადმი ნდობის ხარისხი გაცილებით მაღალია, ვიდრე საქართველოში და თავად სტრუქტურებიც ბევრად უფრო ეფექტიანად ფუნქციონირებენ, ეს არ ქმნის იმის საფუძველს, რომ უგულებელყოფილი იყოს ევროკომისიის შეფასებები და რეკომენდაციები. საქართველოსაც ჯერ კიდევ ბევრი ცვლილება სჭირდება ევროკავშირის სტანდარტებთან დასაახლოებლად. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, გათავისებული გვქონდეს იმ რეკომენდაციების შესრულების პრიორიტეტულობა, რომლებიც ევროკომისიამ განსაზღვრა. ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯებიც გონივრულ ვადაში უნდა გადაიდგას.

საქართველოსთან მიმართებით ვენეციის კომისიის 2023 წლის 18 დეკემბრის ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია პროკურატურის უფლებამოსილების საკითხზე, რაც მართლმსაჯულების სისტემის ცვლილებას უკავშირდება. ცხრა დათქმით განსაზღვრული მართლმსაჯულების საკითხი ასევე მოიცავს პროკურატურის რეფორმასაც.[12]

საქართველოსთან მიმართებით ვენეციის კომისიამ 2023 წლის 9 ოქტომბერს გამოაქვეყნა დასკვნა, რომელიც მართლმსაჯულების სისტემასთან დაკავშირებულ რეკომენდაციათა შესრულებას ეხებოდა.[13] უპირველესად, ყურადღება უნდა მიექცეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციების და მისი დაკომპლექტების საკითხს, ვინაიდან სწორედ საბჭო განსაზღვრავს მოსამართლეთა დანიშვნას. მნიშვნელოვანია, ამ პროცესში გათვალისწინებული იყოს კვალიფიკაციისა და კეთილსინდისიერების ასპექტებიც, რაც ე.წ. „ვეტინგის“[14] სახელწოდებით არის ცნობილი. ეს პროცესი სასამართლოს დამოუკიდებლობის გაძლიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. მისი დანერგვა შესაძლებლობას იძლევა, სასამართლო ინსტიტუტის ფორმირებისას უფრო მაღალი სტანდარტი დაწესდეს მისი პოტენციური წევრების მიმართ. გარდა ამისა, ეს წესი ვრცელდება პროკურორებზეც, რაც შემდგომში საზოგადოების ნდობის ხარისხს აამაღლებს და ეს იქნება ფუნდამენტური წინაპირობა ამ ინსტიტუტების ფუნქციონირების დონის გასაუმჯობესებლად. ამავე ანგარიშის მიხედვით, მხოლოდ მართლმსაჯულების მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობას, არამედ საჭიროა მასშტაბური რეფორმები, რომლებიც ორგანულ კანონში შეტანილ

[6] ევროკომისიის 2023 წლის ანგარიში ბელგიის კანონის უზენაესობის საკითხებზე, 2023, 1-2, ხელმისაწვდომია: https://commission.europa.eu/system/files/2023-07/7_1_52566_coun_chap_belgium_en.pdf, განახლებულია: 2024.05.07.
[7] იქვე, 1-2.
[8] იქვე, 1-2.
[9] ევროკომისიის 2023 წლის ანგარიში, ბელგიის კანონის უზენაესობის საკითხებზე, 2023, 9-10, ხელმისაწვდომია: https://commission.europa.eu/system/files/2023-07/7_1_52566_coun_chap_belgium_en.pdf, განახლებულია: 2024.05.07.
[10] იქვე, 9-10.
[11] იქვე, 10.
[12] ვენეციის კომისიის 2023 წლის 18 დეკემბრის დასკვნა, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2023)044-e, განახლებულია: 2024.05.07.
[13] კომისიის 2023 წლის 9 ოქტომბრის დასკვნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2023)033-e, განახლებულია: 2024.03.04.
[14] „ვეტინგი“ (vetting) - თანამდებობასთან შესაბამისობის შემოწმება, მართლმსაჯულების სფეროში მოსამართლეთა კეთილსინდისიერების გადამოწმება. ექსტრაორდინარული მექანიზმი, რომელიც საგამონაკლისოდ შეიძლება გამოიყენონ სახელმწიფოებმა.

მცირე ცვლილებებს ბევრად აღემატება.[15] ეს რეფორმა არ არის მოკლე დროში განხორციელებადი. ევროკავშირის წევრი ქვეყნების პრაქტიკის ქართულ რეალობაში დანერგვაც საკმაოდ კომპლექსური პროცესია. თუმცა, სამართლიანი სასამართლოს ჩამოსაყალიბებლად, სულ მცირე, თეორიული საკითხების მოწესრიგება საკანონმდებლო ორგანოს უპირველესი ვალდებულებაა.

ქართული მართლმსაჯულების სისტემისთვის რთულია, გაუტოლდეს ნაშრომში განხილულ ბელგიურ მოდელს და მოაწესრიგოს კანონმდებლობა და პრაქტიკა იმგვარად, რომ მხოლოდ ტექნიკური ხასიათის საკითხებს სჭირდებოდეს ცვლილება. პასიური ვალდებულების კონტექსტში, სულ მცირე, იმის გააზრებაც აუცილებელია, რომ მართლმსაჯულების ამჟამინდელ სისტემას არაერთი ხარვეზი აქვს, შესაბამისად, ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი სწორედ მათი გადაჭრის მექანიზმების შემუშავება უნდა იყოს. საქართველოს აქვს შესაძლებლობა, გაითვალისწინოს იმ სახელმწიფოების გამოცდილება, რომლებმაც კანდიდატის სტატუსის მიღების შემდგომ რეგრესით გააგრძელეს მართლმსაჯულების ცვლილება და მსგავსი შეცდომები არ გაიმეოროს.

განხილული ორი სახელმწიფოდან ერთ-ერთი, ბელგია, ევროკავშირის წევრია და მართლმსაჯულების საკმაოდ მაღალი ნდობის ხარისხით გამოირჩევა, მეორე სახელმწიფო კი, თურქეთი, რომელსაც საქართველომდე ბევრად ადრე ჰქონდა მინიჭებული კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, თუმცა ევროკავშირის წევრი დღემდე არ არის. საქართველოსთვის ეს, გარკვეულწილად, მაგალითი უნდა იყოს, თუ როგორ გააგრძელოს კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად აუცილებელი რეფორმების განხორციელება მართლმსაჯულების მიმართულებით. მნიშვნელოვანია იმ ქვეყნების მდგომარეობის გათვალისწინებაც, რომლებმაც საქართველოსთან ერთად გააკეთეს წევრობაზე განაცხადი. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ ასპექტებში მოლდოვის განვითარების დონე და ევროკომისიის სტანდარტებთან მისი შესაბამისობა, მაგალითად, კორუფციასთან ბრძოლისა და კანონის უზენაესობის კუთხით, საქართველოსას ჩამორჩებოდა,[16] მოლდოვამ დაიწყო სასამართლო რეფორმის ტალღის საკმაოდ მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც კეთილსინდისიერების შემოწმების (ე.წ. „ვეტინგის“) სისტემის შემუშავებას გულისხმობს.[17] ამ მიმართულებით რეფორმების დაწყება, მართლმსაჯულების სფეროში არსებული მასშტაბური პრობლემების გათვალისწინებით, ვენეციის კომისიის მხრიდანაც დადებითად შეფასდა. ჩამოთვლილი ქვეყნების მიერ გადადგმული ნაბიჯები იძლევა იმის შეფასების შესაძლებლობას, რა საკითხებზე უნდა მოხდეს კონცენტრაცია, რათა მართლმსაჯულების რეფორმის განხორციელების ამოცანა სრულყოფილად შესრულებულად ჩაითვალოს.

ქართულ რეალობაში „ვეტინგის“ შემოღებას საკმაოდ დიდი აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. მისი დანერგვის იდეა, მეტწილად, ნეგატიურად შეფასდა მთავრობის მიერ. ამ მექანიზმის კრიტიკა, ძირითადად, ეფუძნებოდა იმ არგუმენტს, რომ ალბანეთში მის დანერგვას ვენეციის კომისია დადებითად არ შეხვედრია. ასევე, მოყვანილი იყო განმარტება, რომ „ვეტინგი“ არის რადიკალური მიდგომა და გამოიყენება უკიდურესი აუცილებლობის პირობებში. თუმცა, ვენეციის კომისიის საბოლოო შეფასებით, მიუხედავად ცალკეული ხარვეზებისა, ალბანეთის მიდგომა საჭირო და გამართლებული იყო.[18] გარდა კომისიის შეფასებისა, ალბანეთში ამ პროცესმა, პრაქტიკული თვალსაზრისითაც, მნიშვნელოვანი ცვლილებები განაპირობა მართლმსაჯულების სისტემაში, კონკრეტულად, „2022 წლის სექტემბრის მონაცემებით, 554 მოსამართლიდან/პროკურორიდან 64% გათავისუფლდა, უფლებამოსილება შეუჩერდა, ან საკუთარი ნებით გადადგა“.[19]

ეს პროცესები ასევე დაკავშირებულია ცალკეულ საფრთხეებთან და მართლმსაჯულების ინსტიტუტის დისფუნქციის რისკებს წარმოშობს. თუმცა, სასამართლო სისტემაში კორუფციის მაღალი დონის არსებობის პირობებში, მისი გამოყენება აუცილებელიც კი არის. კეთილსინდისიერების შემოწმების სისტემის დანერგვის გარდა, ასევე უნდა აღმოიფხვრას მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში არსებული ხარვეზები. ეს საკითხები უკავშირდება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მასთან არსებულ სკოლას, რომელიც მოტივირებულ, კეთილსინდისიერ კანდიდატთა უმეტესობას უქმნის დამატებით ბარიერებს და დაუსაბუთებლად იღებს გადაწყვეტილებებს მათი დანიშვნის ან დანიშვნაზე უარის შესახებ. დასაბუთების დაბალი ხარისხი განაპირობებს

[15] ვენეციის კომისიის 2023 წლის 9 ოქტომბრის დასკვნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2023)033-e, განახლებულია: 2024.03.04.

[16] 2023 წლის ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ მოხსენება, 2023,57-58. ხელმისაწვდომია: cc71d42b-6c07-4deb-9069-5ca2082d166d_en (europa.eu), განახლებულია: 2024.05.07.

[17] იქვე, 57-58.

[18] ვენეციის კომისიის 2021 წლის 14 დეკემბრის დასკვნა გარდამავალი ორგანოების მანდატის გაგრძელების შესახებ, 2023, 7, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2021)053-e, განახლებულია: 2024.03.04.

[19] ნინა ჩიხლაძე და სოფო ვერძეული, სტატია „როგორია ვეტინგის გამოცდილება ალბანეთში?“, ხელმისაწვდომია: https://komentari.ge/article/rogoria-vetingis-gamotsdileba-albanethshi/, განახლებულია: 2024.05.07.

სასამართლოში ახალი კადრების სიმწირეს, შესაბამისად, ამასთან დაკავშირებით მაღალი სტანდარტის დანერგვა მცირედით მაინც დააბალანსებს არსებულ ხარვეზებს. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, რჩება პასუხგაუცემელი კითხვა, რამ შეიძლება უზრუნველყოს ევროკავშირის ღირებულებების შესაბამისი, დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში?

ვენეციის კომისიის საკმაოდ კრიტიკული ანგარიშის გაცნობა იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ მხოლოდ „ფასადური" ცვლილება ორგანულ კანონში ქვეყანაში არსებულ მასშტაბურ პრობლემებს ვერ გადაჭრის. უმთავრესი გზა იმისთვის, რომ სასამართლო ინსტიტუტი იყოს დამოუკიდებელი, გადის მისი ფორმირების წესის ცვლილებაზე. ამ ნაწილში ჩნდება ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა - რა ცვლილება უნდა განიცადოს ამ ინსტიტუტმა?

მსგავსად ალბანეთისა, ქართული სასამართლო პრაქტიკისა და ვენეციის კომისიის შეფასებები ცხადყოფს, რომ საქართველო იმყოფება იმ უკიდურესი აუცილებლობის ზღვარზე, როცა კეთილსინდისიერების შემოწმება მიიჩნევა გამართლებულად. ყველაზე დიდი უნდობლობა სწორედ მოსამართლეთა არაკეთილსინდისიერების კონტექსტში უჩნდება საზოგადოებას და ყველაზე მეტად სწორედ ეს აფერხებს დამოუკიდებლობას სასამართლო სისტემაში. ამ საკითხის მოწესრიგება იქნება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი ევროინტეგრაციის პროცესში და საზოგადოების მხრიდან სასამართლოსადმი ნდობის ამაღლების ნაწილშიც.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არსებული მართლმსაჯულების სისტემა ვერ აკმაყოფილებს იმ სტანდარტებს, რომლებიც ევროკავშირში გაწევრიანების წინაპირობად არის განსაზღვრული. მათი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში კი, შეუძლებელი იქნება, საქართველომ პროგრესს მიაღწიოს ევროინტეგრაციის პროცესში, რადგანაც, როგორც ნაშრომში არაერთხელ აღინიშნა, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კორუფციისგან თავისუფალი სასამართლო არის საზოგადოების უფლებების მაღალი ხარისხით დაცვის გარანტი ევროკავშირის ქვეყნებში. შესაბამისად, მათი მოთხოვნა და რეკომენდაციებიც მიმართულია იმისკენ, რომ ყველა წევრ და პოტენციურ წევრ სახელმწიფოს მოწესრიგებული ჰქონდეს მართლმსაჯულების სისტემა.

ასევე, ჩვენ გვაქვს „უპირატესობა", მაგალითი ავიღოთ იმ ქვეყნებისგან, რომლებმაც ეს პროცესი ბევრად უფრო ადრე გაიარეს. მათ მიერ შემუშავებული მიდგომისა და დაშვებული შეცდომების გათვალისწინების „პრივილეგია", გარკვეულწილად, უადვილებს სახელმწიფოს ამ გამოწვევების დაძლევას. თუმცა, პროგრესი შეუძლებელია, თუ შესაბამისი სტრუქტურები თეორიულადაც არ აღიარებენ მართლმსაჯულების სისტემაში მასშტაბური პრობლემების არსებობას და არ გაითავისებენ მათი გადაჭრის გარდაუვალ აუცილებლობას. საქართველომ, მიუხედავად მართლმსაჯულების რეფორმის არასრულფასოვნებისა, შეძლო კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოპოვება, რაც სრულებით არ არის საკმარისი წევრობისთვის. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, ეფექტიანად გაგრძელდეს დამოუკიდებელი სასამართლოს განვითარების პროცესი, რაც, თავის მხრივ, საზოგადოებაშიც გააღვივებს აზრს, რომ სასამართლო მართლაც არის მათი მცველი არა მხოლოდ კანონის ჩანაწერებით, არამედ პრაქტიკაშიც.

ბიბლიოგრაფია:

2023 წლის ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ მოხსენება, ხელმისაწვდომია: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11, განახლებულია: 2024.03.03.

სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის #17 ანგარიში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files, განახლებულია: 2024.04.03.

ევროკომისიის 2023 წლის ანგარიში ბელგიის კანონის უზენაესობის საკითხებზე, ხელმისაწვდომია: https://commission.europa.eu/system/files/2023-07/7_1_52566_coun_chap_belgium_en.pdf, განახლებულია: 2024.03.04.

ვენეციის კომისიის 2021 წლის 14 დეკემბრის დასკვნა გარდამავალი ორგანოების მანდატის გაგრძელების შესახებ, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2021)053-e, განახლებულია: 2024.03.04.

ვენეციის კომისიის 2023 წლის 9 ოქტომბრის დასკვნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2023)033-e, განახლებულია: 2024.03.04.

ჩიხლაძე ნინა, ვერძეული სოფო, სტატია *„როგორია ვეტინგის გამოცდილება ალბანეთში?“*, ხელმისაწვდომია: https://komentari.ge/article/rogoria-vetingis-gamotsdileba-albanethshi/, განახლებულია: 2024.03.04.

ვენეციის კომისიის 2023 წლის 18 დეკემბრის დასკვნა, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2023)044-e, განახლებულია: 2024.05.07.

თამარ მაზანიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი, მე-4 კურსი

შესავალი

თანამედროვე გლობალურ საზოგადოებაში სასამართლო სისტემა ჩნდება, როგორც დემოკრატიული პრინციპების, ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და კანონის უზენაესობის მცველი. მას გადამწყვეტი როლი აკისრია ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებების დაცვასა და ეკონომიკური პროგრესის ხელშეწყობაში. მოცემულ ნაშრომში განვიხილავთ სასამართლო სისტემების განვითარების რთულ დინამიკას როგორც ევროკავშირის ქვეყნებში, ასევე საქართველოში.

ევროკავშირის მაღალგანვითარებული სახელმწიფოების სასამართლო სტრუქტურების მიმოხილვით, ამ ნაშრომის მიზანია იმ ფუძემდებლური პრინციპების გამოვლენა, რომლებიც იცავს სასამართლოს ავტონომიას და მის მთავარ როლს ფუნდამენტური უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვაში. ძირითადი საკანონმდებლო რეფორმების, მათ შორის, საფრანგეთში გატარებული ბოლოდროინდელი ცვლილებების შესწავლის გზით, ყურადღებას გავამახვილებთ სასამართლოს ეფექტიანობასა და გამჭვირვალობაზე, საზოგადოების ნდობის ამაღლებასა და სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვის მნიშვნელობაზე. იმავდროულად, განვიხილავთ საქართველოს სასამართლო სისტემის ევროპულ ნორმებთან შესაბამისობას, მასთან დაკავშირებულ სირთულეებსა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს.

წარმოდგენილი ნაშრომი არის იმის ხაზგასმა, რომ სამართლებრივი რეფორმებითა და სამართლიანობისადმი ურყევი ერთგულებით, სასამართლო ხდება საზოგადოების კეთილდღეობის მცველი, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდებისადმი თანასწორ მოპყრობას და ხელს უწყობს ჰარმონიულ სოციალურ წესრიგს, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს სოციალური სტრუქტურების ჩამოყალიბებასა და ინდივიდუალური თავისუფლებების რეალიზებაზე.

1. დამოუკიდებელი მართლმსაჯულება ევროკავშირის ქვეყნებში

დამოუკიდებელი მართლმსაჯულება ევროკავშირის ქვაკუთხედი პრინციპია, რომელიც უზრუნველყოფს მართლმსაჯულების სამართლიანად და მიუკერძოებლად განხორციელებას. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებობს სხვადასხვა სტრუქტურა სასამართლოს დამოუკიდებლობის დასაცავად. მაგალითად, გერმანიაში ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი როლი აქვს კონსტიტუციურ საკითხებზე ზედამხედველობისა და სასამართლოს ავტონომიის დაცვაში.[1]

გერმანიისგან განსხვავებით, შვედეთში არ არსებობს ერთი საკონსტიტუციო სასამართლო, რომელსაც ექსკლუზიური უფლებამოსილება აქვს კონსტიტუციური საკითხების გადაწყვეტაში. სამაგიეროდ, შვედეთის სასამართლო სისტემა მუშაობს „ნორმის კონტროლის“ პრინციპით, რაც ნიშნავს, რომ საერთო სასამართლოებს აქვთ უფლებამოსილება, განიხილონ კანონების კონსტიტუციურობა, როგორც მათი ჩვეულებრივი სასამართლო ფუნქციის ნაწილი. ეს სისტემა ასახავს შვედეთის ვალდებულებას, უზრუნველყოს კონსტიტუციური პრინციპების დაცვა მთელ მის სამართლებრივ ჩარჩოში. ასევე, შვედეთს სხვა სახელმწიფოებისგან განასხვავებს მოსამართლეთა შერჩევის წესი. ეს პროცესი გამოირჩევა გამჭვირვალობითა და საზოგადოების მაღალი ჩართულობით.

მოსამართლეთა შერჩევის პროცესს შვედეთის სასამართლო დანიშვნების საბჭო ზედამხედველობს, რომელიც კანდიდატებს აფასებს განაცხადებისა და გასაუბრების საფუძველზე, ხოლო დანიშვნა ხდება უშუალოდ

[1] Russel H. Peter, O'Brien M. David, Judicial Independence in the Age of Democracy: Critical Perspectives from Around the World, University Press of Virginia, 2001, pg.158. ხელმისაწვდომია: [PDF] Judicial Independence in the Age of Democracy : Critical Perspectives from around the World | Semantic Scholar, განახლებულია: 26.05.2024.

მთავრობის მიერ, საბჭოს რეკომენდაციებზე დაყრდნობით.[2] საინტერესოა, რომ სასამართლო დანიშვნების საბჭო დაკომპლექტებულია საზოგადოების სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებით, მათ შორის, იურიდიული ექსპერტებით, პოლიტიკოსებითა და მოქალაქეებით.[3] ასეთი ინკლუზიურობა ასახავს შვედეთის ერთგულებას მრავალფეროვანი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბების მიმართ, რაც შეესაბამება მისი მოსახლეობის ღირებულებებსა და მისწრაფებებს.

როგორც ვხედავთ, წევრი სახელმწიფოების სასამართლო სისტემებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავების მიუხედავად, ისინი იცავენ საერთო პრინციპებს, მათ შორის სასამართლოების მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოებისაგან. ეს პრინციპები გათვალისწინებულია ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის 47-ე მუხლსა[4] და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში.[5]

სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და მის მიმართ საზოგადოების ნდობის გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია დროული მართლმსაჯულება და საქმეთა გაჭიანურების თავიდან არიდება. საინტერესოა, განვიხილოთ საფრანგეთის სასამართლო სისტემა, სადაც 2021 წლის 14 აპრილს გატარდა მნიშვნელოვანი სასამართლო რეფორმები საქმეთა გაჭიანურების აღმოსაფხვრელად და მართლმსაჯულების ეფექტიანობის გასაზრდელად. ძირითადი ცვლილებები შეეხო cours d'assises - სასამართლოებს, რომლებიც შედგება სამი მოსამართლის და ლატარიის წესით შერჩეული ექვსი მოქალაქისგან.[6] 2021 წლის რეფორმებით, საფრანგეთში დამკვიდრდა ახალი სასამართლო, cour criminelle départementale, რომელიც განიხილავს 15-იდან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთით დასჯად დანაშაულებს.[7] სწორედ ამ სეგმენტში ჩაანაცვლა მან cours d'assises-ის სასამართლოები. მათი მიზანია, შემსუბუქდეს cours d'assises-ის სასამართლოების დატვირთვა, რითაც შემცირდება სისხლის სამართლის პროცესების საშუალო ხანგრძლივობა. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მოითხოვს ბრალდებულების მოსმენას სამართლიან სასამართლოში გონივრულ ვადაში, საფრანგეთის სისხლის სამართლის სასამართლოები ძალიან დატვირთულია, რასაც მოწმობს ის, რომ 2015 წელს საფრანგეთში სისხლის სამართლის პროცესის საშუალო ხანგრძლივობა დაახლოებით 40 თვე იყო.[8] 2019 წლის სექტემბრიდან ეს სასამართლოები ექსპერიმენტულად ფუნქციონირებს საფრანგეთის 15 ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულში.[9] ექსპერიმენტულმა ფაზამ აჩვენა უწყებრივი სასამართლოების ეფექტიანობა როგორც ბრალდებულის, ისე მსხვერპლის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. შესაბამისად, ის ასახავს საფრანგეთის ვალდებულებას, დაიცვას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, განსაკუთრებით, მე-6 მუხლი, რომელიც ავალდებულებს სამართლიანი სასამართლო პროცესის უზრუნველყოფას გონივრულ ვადაში.[10]

„სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობა მისი ეფექტიანობის მთავარი ფაქტორია".[11] ევროკავშირის ქვეყნებში ჩატარებული გამოკითხვები[12] მიუთითებს საზოგადოების ნდობის განსხვავებულ დონეზე თავად ევროკავშირის შიგნით. აღსანიშნავია, რომ სკანდინავიის ქვეყნები, როგორიცაა დანია, შვედეთი და ნორვეგია, განთქმულნი არიან სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის მაღალი ხარისხით, რაც განპირობებულია გამჭვირვალე პროცესებითა და კანონის უზენაესობის მტკიცე კულტურით. მაგალითად, შვედეთის საგამოძიებო კომიტეტის 2023 წლის 17 მარტის ყოვლისმომცველი ანგარიშის მიხედვით, შვედეთში მოსახლეობის დაახლოებით 75%-მა და კომპანიების 70%-მა შეაფასა სასამართლოების და მოსამართლეების დამოუკიდებლობა, როგორც „საკმაოდ კარგი» ან „ძალიან კარგი».[13] ამის საპირისპიროდ, ისეთ

---

[2] European Commission, 2023 Rule of Law Report Country Chapter on the rule of law situation in Sweden, Brussels, 05.07.2023, ხელმისაწვდომია: 2023 Rule of Law Report - Communication and country chapters - European Commission (europa.eu), განახლებულია: 26.05.2024.

[3] იქვე.

[4] European Union Agency for Fundamental Rights, EU Charter of Fundamental Rights, 26.10.2012, ხელმისაწვდომია: EUR-Lex - 12012P/TXT - EN - EUR-Lex (europa.eu), განახლებულია: 26.05.2024.

[5] Council of Europe, European Convention on Human Rights (ECHR), 1950, ხელმისაწვდომია: https://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf, განახლებულია: 26.05.2024.

[6] France: Government Initiates Judicial Reforms, Library of Congress, 2024, ხელმისაწვდომია: France: Government Initiates Judicial Reforms | Library of Congress (loc.gov), განახლებულია: 26.05.2024.

[7] იქვე.

[8] იქვე.

[9] იქვე.

[10] იქვე.

[11] Bingham Tom, The Rule of Law, London, 2010, pg.43. ხელმისაწვდომია: The Rule of Law. By Tom Bingham. [London: Allen Lane, 2010. 213 pp. Hardback £20.00. ISBN 9781846140907.] | The Cambridge Law Journal | Cambridge Core, განახლებულია: 26.05.2024.

[12] European Commission, Perceived independence of the national justice systems in the EU among the general public, Eurobarometer 503, 2022. ხელმისაწვდომია: Perceived independence of the national justice systems in the EU among companies - May 2022 - - Eurobarometer survey (europa.eu), განახლებულია: 26.05.2024.

[13] European Commission, EU Justice Scoreboard, 2023, §49, 51. ხელმისაწვდომია: EUR-Lex - 52023DC0309 - EN - EUR-Lex (europa.eu), განახლებულია: 26.05.2024.

სახელმწიფოებში, როგორიცაა იტალია და საბერძნეთი, საზოგადოებაში სასამართლო სისტემის მიმართ ნდობა შედარებით დაბალია,[14] რაც, ექსპერტების თქმით, ისტორიული ფაქტორებისა და კორუფციული დანაშაულების შედარებით მაღალი მაჩვენებლიდან გამომდინარეობს.

თუმცა, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა მუდმივად გამოწვევების წინაშეა. მათ შორისაა პოლიტიკური ჩარევა და გარე ზეწოლა. ამის საპასუხოდ, შვედეთმა და სხვა სკანდინავიურმა სახელმწიფოებმა დანერგეს ძლიერი მექანიზმები გარე ზეგავლენის შესამცირებლად, რაც საზოგადოების მხრიდან დადებითად იყო აღქმული და შეფასებული.

2023 წლის 17 მარტს შვედეთის საგამოძიებო კომიტეტმა გამოაქვეყნა ყოვლისმომცველი ანგარიში და რეკომენდაცია გაუწია სასამართლოს ადმინისტრაციის ახალი სააგენტოს შექმნას ხელისუფლებისგან სისტემის დამოუკიდებლობის გაძლიერების მიზნით. ანგარიშის მიხედვით, მას უხელმძღვანელებს საბჭო, რომელიც, დაკომპლექტდება სასამართლოს მიერ წარდგენილი მოქმედი ან ყოფილი მოსამართლეებით. სააგენტოს დაევალება არსებითად იმავე ფუნქციების შესრულება, რაც ეროვნულ სასამართლო ადმინისტრაციას, თუმცა მთავრობისგან მისი დამოუკიდებლობის ხარისხი ბევრად გაიზრდება. გარდა ამისა, მთავრობას ექნება მანდატი, მოითხოვოს ბიუჯეტის პროექტი ახალი სააგენტოსგან. თუ მთავრობის საბიუჯეტო კანონპროექტი ახალი სააგენტოს პროექტს გადაუხვევს, ამას განსაკუთრებული დასაბუთება უნდა მოჰყვეს. ამ ცვლილებების მიზანი სასამართლო სისტემის ავტონომიის გაძლიერება და ევროპულ ნორმებსა და პრაქტიკასთან შესაბამისობაა.

2. სასამართლო ხელისუფლების როლი ადამიანის უფლებების დაცვასა და ეკონომიკურ განვითარებაში

ევროკავშირის სასამართლო სისტემა, რომლის მაგალითია ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო (ECJ) და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECHR), გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვაში. საეტაპო მნიშვნელობის საქმეები, როგორიცაა Mangold v Helm,[15] ხაზს უსვამს სასამართლო ხელისუფლების ერთგულებას ანტიდისკრიმინაციული პრინციპების მიმართ, გავლენას ახდენს ეროვნულ კანონმდებლობაზე და ხელს უწყობს უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) მიერ განხილული საქმეები ინდივიდუალური თავისუფლებების დაცვის პრეცედენტებია. მაგალითად, გავიხსენოთ საქმე - Marckx v Belgium.[16] ის ეხებოდა ევროკავშირის 2000/78 დირექტივის იმპლემენტაციას, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას სამსახურში სხვადასხვა, მათ შორის, ასაკობრივი ნიშნით. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული კანონმდებლობა უნდა განიმარტოს ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო ეს უკანასკნელი ეროვნული კანონმდებლობის კოლიზიურ ნორმებზე უპირატესია მაშინაც კი, თუ ევროკავშირის დირექტივა დავის მიმდინარეობისას სრულად არ იყო ასახული ეროვნულ კანონმდებლობაში. სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით დაადასტურა ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი და ამ კუთხით შექმნა ერთგვარი პრეცედენტი, რაც ხაზს უსვამს ევროკავშირის სამართლის უზენაესობას მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან მიმართებით. გარდა ამისა, ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტია და ეროვნული კონსტიტუციური ჩარჩოები ერთობლივად ქმნის სამართლებრივ „ფარს“ მოქალაქეთათვის და უზრუნველყოფს მათი უფლებების დაცვას სასამართლო ხელისუფლების მიერ.[17]

2.1. კანონის უზენაესობა, როგორც ეკონომიკური პროგრესის წინაპირობა

კავშირი სამართლიან სასამართლო სისტემასა და ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას შორის გადამწყვეტია. სასამართლო სისტემა მოქმედებს როგორც კანონის უზენაესობის მცველი, ქმნის ხელსაყრელ გარემოს ეკონომიკური საქმიანობისთვის. ხელშეკრულებების აღსრულება, საკუთრების უფლების დაცვა და კომერციული დავების გადაწყვეტა არის სასამართლოს იმ ფუნქციათა ნაწილობრივი ჩამონათვალი, რომლებიც, მი-

[14] European Commission, EU citizens and development cooperation, 2019, ხელმისაწვდომია: EU citizens and development cooperation – European Sources Online, განახლებულია: 26.05.2024.

[15] Mangold v Helm, C-144/04, the European Court of Justice (ECJ), 2005, ხელმისაწვდომია: EUR-Lex - 62004CJ0144 - EN - EUR-Lex (europa.eu), განახლებულია: 26.05.2024.

[16] Marckx v Belgium, The European Court of Justice (ECJ), 1979, ხელმისაწვდომია: MARCKX v. BELGIUM (coe.int), განახლებულია: 26.05.2024.

[17] Dzehtsiarou Konstantin, “Human Rights Law in Europe: The Influence, Overlaps, and Contradictions of the EU and the ECHR”, London, 2014, pg.68, ხელმისაწვდომია: Human Rights Law in Europe: The Influence, Overlaps and Contradictions (routledge.com), განახლებულია: 26.05.2024.

უკერძოებელი სასამართლო სისტემის არსებობის შემთხვევაში, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას და ინვესტორებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას. მაგალითად, ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა გერმანია და ნიდერლანდები, სასამართლო სისტემის ეფექტიანობა ხელშეკრულებების აღსრულების მხრივ განაპირობებს და უზრუნველყოფს მათ ეკონომიკურ ძლიერებას.

ეფექტიანი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბებას და გამართული სასამართლო სისტემის არსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური განვითარებისთვის. ევროკავშირის ქვეყნებმა, თავიანთი სასამართლო სისტემების მეშვეობით, შექმნეს დახვეწილი სამართლებრივი სტრუქტურები, რაც აბალანსებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ინტერესებს. ევროკავშირი თავად იძლევა მოდელს რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციისთვის. მაგალითად, მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს დიდი წვლილი შეაქვს ერთიანი საკანონმდებლო ბაზის შემუშავებაში, რომელიც ხელს უწყობს ტრანსსასაზღვრო ვაჭრობას. წევრი სახელმწიფოები, თავის მხრივ, იღებენ და ნერგავენ ამ სამართლებრივ პრინციპებს, რაც განვითარებულ ეკონომიკურ ლანდშაფტს ქმნის.

საეტაპო საქმეში Costa v ENEL (1964[18]) მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა ევროკავშირის სამართლის უზენაესობის პრინციპი ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებით. ეს პრინციპი უზრუნველყოფს ევროკავშირის კანონმდებლობის პრიორიტეტულობას კოლიზიურ ეროვნულ კანონებთან შედარებით, რაც ხელს უწყობს ტრანსსასაზღვრო ვაჭრობას.

საქმეში Cassis de Dijon (1979[19]) მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა ურთიერთაღიარების პრინციპი, რომელიც იძლევა საშუალებას, ერთ წევრ სახელმწიფოში კანონიერად წარმოებული ან გაყიდული საქონელი გაიყიდოს სხვა წევრ ქვეყანაში დამატებითი მოთხოვნებისა და შეზღუდვების გარეშე. ეს პრინციპი ხელს უწყობს საქონლის თავისუფალ გადაადგილებას ევროკავშირის ერთიან ბაზარზე, აძლიერებს ეკონომიკურ ინტეგრაციას და სავაჭრო შესაძლებლობებს.

ასევე, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ გადამწყვეტი როლი შეასრულა ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვაში, როგორიცაა საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და პირთა თავისუფალი გადაადგილება, რაც აუცილებელია ეკონომიკური განვითარებისთვის. ამის დასტურია საქმეები Dassonville (1974)[20] და Keck and Mithouard (1993[21]). მოცემულ საქმეებში სასამართლომ განმარტა ამ თავისუფლებების ფარგლები და შეზღუდვები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ ეფექტიან განხორციელებასა და აღსრულებას ევროკავშირის წევრ ქვეყნებში.

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო ასევე სასამართლომ საეტაპო საქმეებში Continental Can (1973) და Michelin (1983),[22] რომლებითაც განამტკიცა ძირითადი პრინციპები კონკურენციის სამართალში. მაგალითად, ეს მოიცავს ისეთი შეთანხმებების აკრძალვას, რომლებიც ზღუდავს კონკურენციას და იწვევს ბაზარზე დომინანტური პოზიციების ბოროტად გამოყენებას.

საერთო ჯამში, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ევროკავშირში საერთო საკანონმდებლო ბაზის შექმნაში. მისი გადაწყვეტილებები უზრუნველყოფს სამართლებრივ უსაფრთხოებას, ნორმათა ჰარმონიზაციას, იცავს ფუნდამენტურ თავისუფლებებს და კონკურენტულ „ბაზარს“. ამ გადაწყვეტილებებმა განაპირობა კონკურენტული ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბება, რაც, თავისთავად, ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს.

2.2. სამართალწარმოების გაციფრულების ტენდენციები ევროკავშირში

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო სისტემა ეკონომიკური პროგრესის საყრდენია, გამოწვევები რჩება. სამართლებრივი პროცესების დახვეწა და კანონების თანმიმდევრული ინტერპრეტაცია ევროკავშირის სასამართლო სისტემის მუდმივი საზრუნავია. ინოვაციები, როგორიცაა სასამართლოებში თანამედროვე ტექნო-

[18] Flaminio Costa v ENEL, Case 6/64, ECR 347 1964, ხელმისაწვდომია: EUR-Lex - 61964CJ0006 - EN - EUR-Lex (europa.eu), განახლებულია: 26.05.2024.

[19] Cassis de Dijon, Case 120/78, ECR 649, 1979, ხელმისაწვდომია: EUR-Lex - 61978CJ0120 - EN - EUR-Lex (europa.eu), განახლებულია: 26.05.2024.

[20] Procureur du Roi v Benoît and Gustave Dassonville, 8/74, ECR, 1974, ხელმისაწვდომია: EUR-Lex - 61974CJ0008 - EN - EUR-Lex (europa.eu), განახლებულია: 26.05.2024.

[21] Keck and Mithouard, Cases C-267 and C-268/91, ECR I-6097, 1993, ხელმისაწვდომია: EUR-Lex - 61991CJ0267 - EN - EUR-Lex (europa.eu), განახლებულია: 26.05.2024.

[22] Europemballage Corporation and Continental Can Company Inc. v Commission of the European Communities, Case 6-72, 1973, ხელმისაწვდომია: EUR-Lex - 61972CJ0006 - EN - EUR-Lex (europa.eu), განახლებულია: 26.05.2024.

ლოგიების გამოყენება (როგორც ეს ესტონეთის მსგავს ქვეყნებში ინერგება), ამ გამოწვევების დასაძლევად გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და სამართალწარმოების გაციფრულება არა მხოლოდ ზემოხსენებული პრობლემების აღმოფხვრის ერთ-ერთი საშუალებაა, არამედ, ეს პროცესები ასევე შეამსუბუქებს სასამართლოს ადმინისტრაციულ ტვირთს, ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას, შეამცირებს ტრადიციულ, ქაღალდზე დაფუძნებულ პროცესებთან დაკავშირებულ ხარჯებს, რაც მონაცემთა კონფიდენციალურობის, სამართალწარმოების გამჭვირვალობისა და საზოგადოებაში სასამართლო ინსტიტუტისადმი ნდობის ხარისხის ამაღლებაში გადამწყვეტ როლს შეასრულებს.

სამართალწარმოების გაციფრულებამ დადებითი გავლენა იქონია ევროკავშირის მრავალ ქვეყანაში, მაგალითად, შვედეთში, ფინეთში, დანიაში, ნიდერლანდებსა და გერმანიაში. ამ სახელმწიფოებში სამოქალაქო საქმეთა გაციფრულებამ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას შეუწყო ხელი.[23] კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია ესტონეთი, რომელიც მოწინავეა სამართალწარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით.[24] ეს პროცესი მოიცავს არა მხოლოდ საჩივრების ელექტრონულად წარდგენას, არამედ საქმის მართვას, დოკუმენტების გაცვლას, მხარეებსა და სასამართლოს შორის კომუნიკაციას და სასამართლოს ჩანაწერებზე ხელმისაწვდომობას.[25] ელექტრონული პორტალების არსებობა მხარეებს საშუალებას აძლევს, შეიტანონ საჩივრები, მიიღონ ინფორმაცია საქმის შესახებ და შეუფერხებლად ჩაერთონ სასამართლოსთან ციფრულ კომუნიკაციაში.

სამართალწარმოების გაციფრულების ტენდენცია გრძელდება ევროკავშირის დანარჩენ ქვეყნებშიც. ეს გულისხმობს სასამართლო სისტემების განახლებას ონლაინ პორტალების, დისტანციური სასამართლო პროცესის, სარჩელის, შესაგებლის ელექტრონულად შეტანისა და სასამართლო დარბაზების ტექნოლოგიებით აღჭურვის გზით.

3. საქართველოს სასამართლო სისტემის ევოლუცია ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება ინდივიდის უფლების და თავისუფლების დაცვის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა. ის ინსტრუმენტული უფლებაა, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოადგენს სხვა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებას, ხოლო მეორე მხრივ - ხელისუფლების შტოებს შორის შეკავებისა და გაწონასწორების არქიტექტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს“.[26] მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოში თანხმდება სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლოს აუცილებლობაზე. თუმცა, ამ პრინციპების პრაქტიკაში იმპლემენტირება რთულდება, რასაც კიდევ უფრო ართულებს პოლიტიკური არასტაბილურობა, ელიტური კორუფციის არსებობა და სხვა. ხსენებული ასპექტები, ცხადია, იურიდიულ ფორმალობებს სცდება და მათი აღმოფხვრა მხოლოდ ნორმათა ცვლილებით შეუძლებელია. ევროკავშირი, როგორც დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული საზოგადოება, მოითხოვს არა მარტო კანონთა იურიდიულ შესაბამისობას, არამედ ამ კანონების საფუძველში არსებული ღირებულებების დანერგვას.

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება მოითხოვს საკანონმდებლო ბაზის ზედმიწევნით შესაბამისობას ევროპულ სტანდარტებთან. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა, ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების მიღწევა წინგადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებია საქართველოსთვის. თუმცა, ამ შეთანხმებების ეფექტიანობა დამოკიდებულია აღსრულების მტკიცე მექანიზმებზე, სადაც საქართველოს სასამართლო სისტემა ჯერ კიდევ ებრძვის საქმეთა სიმრავლეს, რაც სასამართლოს ქმედითობას თავისთავად ამცირებს. „სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულება წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც მოითხოვს, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს გონივრულ ვადაში“.[27] თუმცა, საქართველოს სასამართლოსთვის ეს საკითხი კვლავ აღმოუფხვრელ პრობლემად რჩება. CEPEJ-ის მონაცემები ადასტურებს, რომ 2010-2020 წლებში სასა-

[23] The Council of the European Union, “EU takes important step towards digitalisation of justice systems”, 2023, ხელმისაწვდომია: EU takes important step towards digitalisation of justice systems - Consilium (europa.eu), განახლებულია: 26.05.2024.
[24] იქვე.
[25] იქვე.
[26] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება, „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §2.1.
[27] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/1/403,427 გადაწყვეტილება, „კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §12.

მართლოში საქმეთა განხილვის საშუალო ხანგრძლივობამ, სამივე კატეგორიის - სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის საქმეების შემთხვევაში, სამივე ინსტანციაში საგრძნობლად მოიმატა. თვალსაჩინოებისთვის, 2020 წელს სამოქალაქო საქმეთა განხილვის საშუალო ხანგრძლივობა პირველ ინსტანციაში 433 დღემდე გაიზარდა,[28] რაც ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც: „სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე, მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა."

„საქმეების განხილვის გაჭიანურება მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის სასამართლო სისტემას, ამცირებს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას",[29] რასაც უარყოფითი გავლენა აქვს მხარეებზე, მათ შორის, ფინანსური გაურკვევლობა, გაზრდილი ხარჯები, ემოციური დაძაბულობა. ეს ყველაფერი კი ლოგიკურ ჯაჭვს ქმნის სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის დაქვეითებასთან. ამასთანავე, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ საქმეების დაგვიანებულმა გადაწყვეტამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ინდივიდების კანონიერ უფლებებზე, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, სადაც დროული მოქმედება გადამწყვეტია. ასეთებია სახელშეკრულებო დავები, საოჯახო სამართლის საკითხები და სხვა. საერთო ჯამში, საქმეების გაჭიანურებამ შეიძლება ძალიან ბევრი პრობლემა შეუქმნას სასამართლო სისტემას, პროცესის მონაწილე მხარეებს და მთლიანად საზოგადოებას. ამ გამოწვევის წინაშე მხოლოდ საქართველო არ დგას. ევროკავშირის ქვეყნები აქტიურად ნერგავენ ახალ მეთოდებს, ცვლიან სასამართლო სისტემას, ქმნიან დამატებით ინსტიტუტებს, ირჩევენ მოდერნიზაციისა და გაციფრულების გზას, რათა სასამართლო სისტემა გაჯანსაღდეს, შესაბამისად, გაიზარდოს საზოგადოების ნდობა და აღმოიფხვრას ის სტერეოტიპები, რომლებიც ამ სისტემის ირგვლივ არსებობს.

საქართველოს დღევანდელი სასამართლო სისტემა მოწყვლადია. მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შექმნა თავის დროზე სასამართლოს დამოუკიდებლობის ინსტიტუციონალიზაციის მცდელობას ნიშნავდა, დღემდე არ აღმოფხვრილა გაუმჭვირვალობა მოსამართლეთა დანიშვნების პროცესის ირგვლივ და არ შეწყვეტილა საზოგადოების შეშფოთება პოლიტიკური გავლენების შესახებ. ამ შემთხვევაში აუცილებელია მკაცრი „კონტროლისა და ბალანსის" დამყარება, რათა სასამართლო სისტემა არ იქცეს პოლიტიკური მიზანშეწონილობის იარაღად.

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია სამართლებრივ გამოწვევებს უკავშირდება, რაც ერთიან და ანალიტიკურ-სამართლებრივ მიდგომას მოითხოვს. 2023 წლის 8 ნოემბერს ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის გაცემული 12 პრიორიტეტიდან ქვეყანამ მხოლოდ რამდენიმე შეასრულა.[30] ჯერ კიდევ შეუსრულებელია და არ განხორციელებულა სასამართლო სისტემის რეფორმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სასამართლოს მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა და ანგარიშვალდებულება, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად. მაგალითად, ვენეციის კომისია განიხილავს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში პლურალიზმის აუცილებლობას და მოსამართლე და არამოსამართლე წევრების დაბალანსებას. ამ პრობლემის აღმოფხვრა შესაძლებელია საკონსტიტუციო ცვლილებებით, რომლებიც ჩიხის საწინააღმდეგო მექანიზმების შემოღებას გულისხმობს. 2019, 2020 და 2021 წლებში ვენეციის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციით, უნდა შეიქმნას ჩიხის საწინააღმდეგო მექანიზმი იმ შემთხვევისთვის, თუ უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ წარდგენილი კანდიდატები ვერ მიიღებენ 2/3-ის მხარდაჭერას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.[31] მნიშვნელოვანია, ვახსენოთ, რომ მსგავსი მექანიზმი დანერგილია ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანაში. მაგალითად, გერმანია იყენებს კვალიფიციური უმრავლესობის ან ხელახალი კენჭისყრის მოთხოვნას ჩიხის საწინააღმდეგოდ. საფრანგეთში მოქმედებს ხმის მიცემის ალტერნატიული პროცედურები, ასევე მედიაციის პროცესები სასამართლო დანიშვნების ან სხვა საკითხებში დაინტერესებულ მხარეებს შორის წარმოქმნილი ჩიხიდან გამოსასვლელად. შვედეთშიც კენჭისყრის ალტერნატიული პროცედურები მოქმედებს.

საქართველოში ჩიხის საწინააღმდეგო მექანიზმების ეფექტიანობა, განსაკუთრებით მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებით, დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა საკანონმდებლო ბაზის

[28] The European Commission for the Efficiency of Justice, "Evaluation of the judicial systems in Georgia", 2022, ხელმისაწვდომია: Evaluation of judicial systems - European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ) (coe.int), განახლებულია: 26.05.2024.

[29] მიქაუტაძე გიორგი, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ყოველწლიური ანგარიში", საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, 2018-2019. ხელმისაწვდომია: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ყოველწლიური ანგარიში (hcoj.gov.ge), განახლებულია: 26.05.2024.

[30] სტატუსმეტრი, „როგორ მიდის საქართველო ევროკომისიის 12 პირობის შესრულებისკენ", თბილისი, 2023, ხელმისაწვდომია: csf.ge/statusmetri-rogor-midis-saqartvelo-evrokomisiis-12-pirobis-shesrulebisken-4/, განახლებულია: 26.05.2024.

[31] საქართველოს სასამართლოს გუშაგი, „ვენეციის კომისიის რეკომენდაციები სასამართლო რეფორმის შესახებ", თბილისი, 2023, ხელმისაწვდომია: ვენეციის კომისიის რეკომენდაციები სასამართლო რეფორმის შესახებ | Courtwatch, განახლებულია: 26.05.2024.

სიცხადე, ინსტიტუციური შესაძლებლობები, პოლიტიკური ნება, საზოგადოების ნდობა, რეკომენდაციების დაცვა და ადაპტირება. ეს მექანიზმები უნდა იყოს აღქმული, როგორც სამართლიანი, გამჭვირვალე და ლეგიტიმური, რათა მოხდეს დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობა და, შედეგად, ჩიხიდან გამოსვლა.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს აქვთ ძლიერი სამართლებრივი სისტემები სასამართლოს პოლიტიკური ჩარევისგან იზოლაციისთვის, საქართველო კი კვლავ ამ გამოწვევის წინაშეა. ამიტომ, საჭიროა უფრო ყოვლისმომცველი კანონმდებლობის არსებობა, რომელიც გაითვალისწინებს სასამართლო ეთიკას, ანგარიშვალდებულების მექანიზმებს და გარე ზეწოლისგან დაცვას. ეს, თავის მხრივ, დამოუკიდებელი სასამართლოს სამართლებრივ საფუძველს გაამყარებს.

დასკვნა

სასამართლო სისტემის, როგორც საზოგადოების მცველის როლი ევროკავშირის ქვეყნებში და საქართველოში გადამწყვეტია დემოკრატიული პრინციპების, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაში. ამ დოკუმენტში განხილული იყო სასამართლო ხელისუფლების მრავალმხრივი ფუნქცია, დაწყებული სასამართლოების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფიდან, დამთავრებული სამართლებრივი რეფორმებისა და მოდერნიზაციის მცდელობებით.

ევროკავშირის ქვეყნებში სასამართლო სისტემა ფუნქციონირებს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, როგორც ეს გათვალისწინებულია ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიასა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის თითოეულ წევრ სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი უნიკალური სასამართლო სისტემა, ისინი ერთობლივად თანხმდებიან და იცავენ ამ საერთო ღირებულებებს. სხვადასხვა წევრი სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის განხილვის შედეგად, განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა საფრანგეთსა და შვედეთში სასამართლოს დამოუკიდებლობის გაძლიერების მცდელობები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი აღმოჩნდა მათი სამართლებრივი სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად.

ანალოგიურად, საქართველოს ევროინტეგრაციისკენ სწრაფვა მოითხოვს ყოვლისმომცველ რეფორმებს ეროვნული სასამართლო სისტემის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის მისაღწევად. ამჯერად, საქართველოსთვის აუცილებელია, პრიორიტეტული იყოს სამართლებრივი რეფორმები, ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება და საზოგადოების ჩართულობა სასამართლო სისტემის ეფექტიანობისა და ლეგიტიმურობის გასაზრდელად. კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვით, ეკონომიკური კეთილდღეობის ხელშეწყობით, სასამართლო სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყველასთვის ჰარმონიული საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ევროპეიზაციის რთულ, მაგრამ გარდაუვალ გზაზე სასამართლო სისტემა დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის მთავარი მცველია, რომლის ძლიერება და დამოუკიდებლობა სწორედ რომ თავისუფალი ხალხის იარაღია თვითნებური ძალაუფლებისა და უსამართლობის წინააღმდეგ.

ბიბლიოგრაფია

Council of Europe, European Convention on Human Rights (ECHR), ხელმისაწვდომია: https://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf, განახლებულია: 26.05.2024.

European Union Agency for Fundamental Rights, EU Charter of Fundamental Rights, 26.10.2012, ხელმისაწვდომია: EUR-Lex - 12012P/TXT - EN - EUR-Lex (europa.eu), განახლებულია: 26.05.2024.

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/1/403,427 გადაწყვეტილება, „კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §12.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება, „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §2.1.

Cassis de Dijon, Case 120/78, ECR 649, 1979, ხელმისაწვდომია: EUR-Lex - 61978CJ0120 - EN - EUR-Lex (europa.eu), განახლებულია: 26.05.2024.

Europemballage Corporation and Continental Can Company Inc. v Commission of the European Communities, Case 6-72, 1973, ხელმისაწვდომია: EUR-Lex - 61972CJ0006 - EN - EUR-Lex (europa.eu), განახლებულია: 26.05.2024.

European Commission, EU Justice Scoreboard, 2023, §49, 51. ხელმისაწვდომია: EUR-Lex - 52023DC0309 - EN - EUR-Lex (europa.eu), განახლებულია: 26.05.2024.

Flaminio Costa v ENEL, Case 6/64, ECR 347 1964, ხელმისაწვდომია: EUR-Lex - 61964CJ0006 - EN - EUR-Lex (europa.eu), განახლებულია: 26.05.2024.

Keck and Mithouard, Cases C-267 and C-268/91, ECR I-6097, 1993, ხელმისაწვდომია: EUR-Lex - 61991CJ0267 - EN - EUR-Lex (europa.eu), განახლებულია: 26.05.2024.

Mangold v Helm, C-144/04, the European Court of Justice (ECJ), 2005, ხელმისაწვდომია: EUR-Lex - 62004CJ0144 - EN - EUR-Lex (europa.eu), განახლებულია: 26.05.2024.

Marckx v Belgium, The European Court of Justice (ECJ), 1979, ხელმისაწვდომია: MARCKX v. BELGIUM (coe.int), განახლებულია: 26.05.2024.

Procureur du Roi v Benoît and Gustave Dassonville, 8/74, ECR, 1974, ხელმისაწვდომია: EUR-Lex - 61974CJ0008 - EN - EUR-Lex (europa.eu), განახლებულია: 26.05.2024.

Bingham Tom, The Rule of Law, London, 2010, pg.43. ხელმისაწვდომია: The Rule of Law. By Tom Bingham. [London: Allen Lane, 2010. 213 pp. Hardback £20.00. ISBN 9781846140907.] | The Cambridge Law Journal | Cambridge Core, განახლებულია: 26.05.2024.

Dzehtsiarou Konstantin, «Human Rights Law in Europe: The Influence, Overlaps, and Contradictions of the EU and the ECHR», London, 2014, pg.68, ხელმისაწვდომია: Human Rights Law in Europe: The Influence, Overlaps and Contradictions (routledge.com), განახლებულია: 26.05.2024.

Russel H. Peter, O'Brien M. David, Judicial Independence in the Age of Democracy: Critical Perspectives from Around the World, University Press of Virginia, 2001, pg.158. ხელმისაწვდომია: [PDF] Judicial Independence in the Age of Democracy : Critical Perspectives from around the World | Semantic Scholar, განახლებულია: 26.05.2024.

მიქაუტაძე გიორგი, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ყოველწლიური ანგარიში“, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, 2018-2019. ხელმისაწვდომია: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ყოველწლიური ანგარიში (hcoj.gov.ge), განახლებულია: 26.05.2024.

საქართველოს სასამართლოს გუშაგი, „ვენეციის კომისიის რეკომენდაციები სასამართლო რეფორმის შესახებ", თბილისი, 2023, ხელმისაწვდომია: ვენეციის კომისიის რეკომენდაციები სასამართლო რეფორმის შესახებ | Courtwatch, განახლებულია: 26.05.2024.

სტატუსმეტრი, „როგორ მიდის საქართველო ევროკომისიის 12 პირობის შესრულებისკენ“, თბილისი, 2023, ხელმისაწვდომია: csf.ge/statusmetri-rogor-midis-saqartvelo-evrokomisiis-12-pirobis-shesrulebisken-4/, განახლებულია: 26.05.2024.

European Commission, 2023 Rule of Law Report Country Chapter on the rule of law situation in Sweden, Brussels,

05.07.2023, ხელმისაწვდომია: 2023 Rule of Law Report - Communication and country chapters - European Commission (europa.eu), განახლებულია: 26.05.2024.

European Commission, EU citizens and development cooperation, 2019, ხელმისაწვდომია: EU citizens and development cooperation – European Sources Online, განახლებულია: 26.05.2024.

European Commission, Perceived independence of the national justice systems in the EU among the general public, Eurobarometer 503, 2022. ხელმისაწვდომია: Perceived independence of the national justice systems in the EU among companies - May 2022 - - Eurobarometer survey (europa.eu), განახლებულია: 26.05.2024.

The Council of the European Union, "EU takes important step towards digitalisation of justice systems", 2023, ხელმისაწვდომია: EU takes important step towards digitalisation of justice systems - Consilium (europa.eu), განახლებულია: 26.05.2024.

The European Commission for the Efficiency of Justice, "Evaluation of the judicial systems in Georgia", 2022, ხელმისაწვდომია: Evaluation of judicial systems - European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ) (coe.int), განახლებულია: 26.05.2024.

France: Government Initiates Judicial Reforms, Library of Congress, 2024 France: Government Initiates Judicial Reforms | Library of Congress (loc.gov).

მერი გიუნაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი, მესამე კურსი

შესავალი

„საზოგადოებაში თანაცხოვრებისას ადამიანებს ხშირად გვაქვს კონფლიქტი ერთმანეთთან ან სახელმწიფოსთან“.[1] უთანხმოების მაპროვოცირებელი მიზეზები მრავალგვარია და შესაძლებელია, კავშირი ჰქონდეს ადამიანთა ცხოვრების ნებისმიერ ასპექტთან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ როგორც კაცობრიობის ფიზიკური არსებობა, ისე მისი მორალური მდგრადობა დამოკიდებულია სწორედ ამ დავების გადაწყვეტის რაციონალური და მშვიდობიანი მექანიზმის არსებობაზე.

ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ადამიანები დავებისა და უთანხმოების გადაჭრის ერთადერთ გზას აღიარებდნენ - სისასტიკისა და ფიზიკური დაპირისპირების სინთეზს. საბოლოოდ, კონფლიქტი წყდებოდა იმის სასარგებლოდ, ვინც ამგვარ დაპირისპირებაში, საკუთარი ფიზიკური ან/და მატერიალური სიძლიერის ხარჯზე, უპირატესობას მოიპოვებდა. ამ მოსაზრებას ავითარებს თომას ჰობსიც წიგნში „ლევიათანი“. ინგლისელი ფილოსოფოსის აზრით, ბუნებით მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, რომელიც არ არის შეზღუდული სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლითა და მისი კანონებით, ექცევა მდგომარეობაში, რომელსაც, შესაძლოა, ეწოდოს ***„ომი ყველა კაცისა ყველა კაცის წინააღმდეგ“.***[2] ხელისუფლების არარსებობა, მათ შორის, ცხადია, სასამართლო ხელისუფლებისაც, პირდაპირ უკავშირდება ადამიანთა ისეთ ყოფას, რომელშიც თითოეული ინდივიდი გამუდმებით განიცდის დაუცველობის მძაფრ შეგრძნებას, რადგან, ***„რაც გინდა გამჭრიახი, გაბედული და ძლიერი იყოს ადამიანი, ყოველთვის შეიძლება გამოჩნდეს სხვა, ვინც თავს დაესხმება და ასეთი თავდასხმა იმ სხვისი ბუნებითი უფლების განხორციელება იქნება“.***[3] ვინაიდან ასეთი თვალსაჩინოა სახელმწიფოში ცხოვრების უპირატესობა, ადამიანები საკუთარი ნებითვე ამბობენ უარს ბუნებით თავისუფლებაზე, აღიარებენ ხელისუფლების უზენაეს ძალას და, სანაცვლოდ, საკუთარი სხეულის, ოჯახისა და საკუთრების უსაფრთხოების გარანტიებს მოიპოვებენ.

თანამედროვე დემოკრატიული მმართველობის სისტემისთვის დამახასიათებელია ხელისუფლების დანაწილება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად. ძალაუფლების ამგვარი დაყოფა საშუალებას იძლევა, უზრუნველყოფილი იყოს სახელისუფლებო შტოებს შორის ძალთა ბალანსი და ურთიერთკონტროლი. აღმასრულებელი ხელისუფლება საკუთარ ქმედებებზე ანგარიშვალდებულია სასამართლო ხელისუფლების წინაშე. სასამართლო და საკანონმდებლო შტოების ურთიერთდამოკიდებულებას რაც შეეხება, სწორედ სასამართლო თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ ნორმათშემოქმედების შედეგად მიღებული კანონების მოთხოვნათა ინტერპრეტაციის, დაცვისა და მათი პრაქტიკული აღსრულების უზრუნველყოფაში. სხვაგვარად, სასამართლოს არარსებობის შემთხვევაში, საკანონმდებლო შტოს მიერ მიღებული სამართლებრივი ნორმები გადაიქცეოდა რეალური ძალის არმქონე მოწოდებებად, რომელთა დაცვაც ადამიანთა კეთილ ნებაზე იქნებოდა დამოკიდებული (მაგალითად, „არა კაც კლა“). ამასთანავე, სასამართლო სისტემაა პასუხისმგებელი, უზრუნველყოს ამ ნორმათა თავსებადობა უზენაეს კანონთან.

მაშასადამე, სასამართლო სწორედ ის ***„ფარია, რომელმაც უნდა დაიცვას კანონის უზენაესობა, კონსტიტუ-***

---

[1] დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, ბროშურა „სასამართლოს შესახებ“, კოალიციის დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი, 2023 წლის 1 თებერვალი, ხელმისაწვდომია: http://www.coalition.ge/files/geo-web.pdf, განახლებულია: 07.06.2024;

[2] ჰობსი, „ლევიათანი“, ნაშრომში შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, რედაქტორი გიორგი ნოდია, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019, 187, ხელმისაწვდომია: https://library.iliauni.edu.ge/SHTA-7-2019-book-1.pdf, განახლებულია: 07.06.2024;

[3] ნოდია, „შესავალი თომას ჰობსის „ლევიათანთან“ დაკავშირებით“, ნაშრომში შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, რედაქტორი გიორგი ნოდია, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019, 176, ხელმისაწვდომია: https://library.iliauni.edu.ge/SHTA-7-2019-book-1.pdf, განახლებულია: 07.06.2024.

ცია და, საბოლოოდ, ჩვენი უფლებები და თავისუფლებები პარლამენტის, მთავრობის, სხვა მოსამართლეების თუ ყველა იმ პირისგან, ვისაც მათი დარღვევა შეუძლია".[4]

შეიძლება თამამად ითქვას, რომ თანამედროვეობაში სასამართლო დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო სისტემების ქვაკუთხედია. ის არის სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელიც უფლებამოსილია, ინდივიდთა შორის ან ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის არსებული უთანხმოება გადაწყვიტოს დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად, კანონის საფუძველზე. ამასთანავე, სასამართლო უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს თვითიუსტიციის შემთხვევების პრევენციის საქმეშიც. აუცილებელია, ხაზი გაესვას, რომ სასამართლო მხოლოდ საზოგადოებაში არსებული დავების გადაწყვეტის ფორუმი არ არის. დიდია მისი, როგორც სოციალური ინსტიტუტის, დატვირთვაც. სასამართლო გადაწყვეტილებები ხშირად მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების ტენდენციებზე.

რომ შევაჯამოთ, თანამედროვე სახელმწიფოებში სასამართლოს როლი და დატვირთვა განუზომელია. ამასთანავე, საზოგადოების შეხედულებები და მოლოდინები მართლმსაჯულების როლთან დაკავშირებით სტატიკური არ არის და ცვალებადია თავად სოციუმში არსებული ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის როლი ევროკავშირის ქვეყნებში

სასამართლო სისტემასთან მიმართებით საზოგადოებაში არსებობს უცვლელი და მტკიცე მოთხოვნა - მოთხოვნა სამართლიან და ეფექტიან სასამართლოზე. სამართლიანი და ეფექტიანი სასამართლო კი, რომელიც ჩვენს უფლებებსა და ინტერესებს სათანადოდ დაიცავს, წარმოუდგენელია დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვის გარეშე.

მიხეილ ჯავახიშვილი წერდა: ***„იმ ქვეყანაში, სადაც სასამართლო დამოუკიდებელი არ არის, თავისუფლება არ არსებობს"***.[5] ამდენად, მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაპყროთ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისკენ და ამგვარად გამოვკვეთოთ მისი როლი და მნიშვნელობა თანამედროვე სახელმწიფოებში.

„სასამართლოს დამოუკიდებლობა სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტური ღირებულება და სამართლის უზენაესობის მთავარია გარანტიაა.[6] ***დამოუკიდებელი მართლმსაჯულება არის ღერძი, რომელსაც ეყრდნობა ქვეყნისა და საზოგადოების დემოკრატიული განვითარება"***[7] - ვკითხულობთ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა №1-ში. გარდა ამისა, დამოუკიდებელი სასამართლო უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საქმეშიც. საზოგადოება სწორედ დამოუკიდებელ სასამართლოს ანდობს მართლმსაჯულების განხორციელებას. სასამართლოს დამოუკიდებლობა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, სამართლიანი სასამართლოს უფლების აუცილებელი კომპონენტიცაა.[8]

სასამართლოს დამოუკიდებლობაზე საუბრისას, აუცილებელია, დაკონკრეტდეს, რომ ეს პრინციპი თავის თავში მოიცავს სასამართლოს თავისუფლებას როგორც გარე, ისე შიდა ფაქტორების ზეგავლენისაგან. ამგვარ ვითარებაში სასამართლო საკუთარ ფუნქციებს ასრულებს პოლიტიკური თუ სოციალური ზეწოლის, კონტროლისა და ჩარევის გარეშე. ამასთანავე, იგი თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი შინაგანი შეხედულებებითა და ინტერესებით განპირობებული სუბიექტივიზმისგან. დამოუკიდებელი სასამართლო ემსახურება მხოლოდ უზენაეს პრინციპებთან თავსებადი კანონების მოთხოვნებს და პასუხისმგებლობაც მხოლოდ მის წინაშე აკისრია.

აუცილებელია, ხაზი გაესვას, რომ ცალკეული მოსამართლეებისთვის სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა არც რაიმე პრივილეგიაა და არც პრეროგატივა. ეს ემსახურება მართლმსაჯულების მაძიებელ პირთა ინტერესების დაცვასა და კანონის უზენაესობას. ***„მოსამართლეები უნდა სარგებლობდნენ შეუზღუდავი და-***

---

[4] კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, ბროშურა „სასამართლოს შესახებ", კოალიციის დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი, 2023 წლის 1 თებერვალი, ხელმისაწვდომია: http://www.coalition.ge/files/geo-web.pdf, განახლებულია: 07.06.2024;

[5] მიხეილ ჯავახიშვილი, „დამოუკიდებელი სასამართლო", გაზეთი „ივერია", 1906 წელი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3b2p97p, განახლებულია: 07.06.2024;

[6] Consultative Council of European Judges, OPINION No 1 for the attention of the Committee of Ministers of the Council of Europe on standards concerning the independence of the judiciary and the irremovability of judges, Strasbourg, 23 November 2001, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/1680747830, განახლებულია: 07.06.2024.

[7] Consultative Council of European Judges, OPINION No 1 for the attention of the Committee of Ministers of the Council of Europe on standards concerning the independence of the judiciary and the irremovability of judges, Strasbourg, 23 November 2001, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/1680747830, განახლებულია: 07.06.2024;

[8] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მე-6 მუხლი;

მოუკიდებლობით, რათა მიიღონ მიუკერძოებელი გადაწყვეტილებები, საკუთარი რწმენისა და ფაქტების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით".[9]

აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობა შეუზღუდავი არ არის და ის შებოჭილია გარკვეული ხარისხის ანგარიშვალდებულებით. ეს ვალდებულება მას აკისრია საზოგადოებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების წინაშე, რომლებიც სასამართლოებს აფასებენ პროდუქტიულობისა და მართლმსაჯულების ხარისხის კრიტერიუმებით. სასამართლოს დამოუკიდებლობის ანგარიშვალდებულებით დატვირთვა ემსახურება მის შიგნით კორპორატივიზმისა და ნეპოტიზმის, კორუფციის, მართლმსაჯულებით ვაჭრობისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრევენციას, აქედან გამომდინარე, გამართლებულია.

მაშასადამე, სასამართლოს დამოუკიდებლად მიჩნევისთვის აუცილებელია, იგი თავისუფალი იყოს ნებისმიერი სახის უსაფუძვლო ჩარევისა და ზეგავლენისგან, ანგარიშვალდებულება კი მისი დამოუკიდებლობის პრინციპს არ ეწინააღმდეგება.

სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხზე მსჯელობისას, აუცილებელია, მიმოვიხილოთ მისი როლი კონკრეტულად ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე. ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების (TEU) მე-2 მუხლში[10] გაწერილია ის ღირებულებები, როლებსაც, ზოგადად, ევროკავშირი ეფუძნება. მასში ამოიკითხავთ დათქმებს კანონის უზენაესობის, დემოკრატიისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის შესახებ. ეს სწორედ ის ფასეულობებია, რომელთა პატივისცემაც ევროკავშირის წევრობის მსურველი თითოეული სახელმწიფოსთვის სავალდებულოა. ზემოხსენებული ღირებულებების დაცულობაზე საუბარი კი წარმოუდგენელია სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის გარეშე.

აუცილებელია, ვახსენოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტიც, რომელიც გამოიყენება სასამართლოთა დამოუკიდებლობის შესაფასებლად. მახასიათებლები, რომლებსაც ევროპული სასამართლო ამ საკითხის შეფასებისას ეყრდნობა: 1. მოსამართლეთა დანიშვნის წესი, 2. მოსამართლეთა მანდატის ხანგრძლივობა, 3. ზეგავლენისგან დაცვის გარანტიების არსებობა და 4. საზოგადოების აღქმა - რამდენად ქმნის სასამართლო დამოუკიდებლობის შთაბეჭდილებას.[11]

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლოს დამოუკიდებლად მიჩნევისთვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა მისი თავისუფლება საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოების ზეგავლენისგან. პოლიტიკური არასტაბილურობის პირობებშიც კი, როდესაც სახელმწიფოში კრიზისია და ხელისუფლებაში მყოფი პირები საფრთხეს უქმნიან დემოკრატიული სტანდარტების დაცულობას, დამოუკიდებელი სასამართლო სწორედ იმ სახელმწიფო ინსტიტუტად უნდა დარჩეს, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების ძირითადი ფასეულობების შენარჩუნებაზე იზრუნებს.

გარდა ამისა, როგორც უკვე ითქვა, დამოუკიდებელი მართლმსაჯულება სასიცოცხლო როლს ასრულებს კანონის უზენაესობისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვაში. მოგეხსენებათ, სახელმწიფოსა და ცალკეულ ინდივიდებს შორის ძალთა მნიშვნელოვანი დისბალანსი არსებობს. ეს, თავის მხრივ, ზრდის რისკებს, რომ სახელმწიფო მის ხელთ არსებულ ძალაუფლებას ბოროტად, საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოიყენებს. ასეთ დროს დამოუკიდებელი სასამართლო მოქმედებს როგორც ძალაუფლების ძალმომრეობის შემაკავებელი ფაქტორი. ის საზოგადოებას შესაძლებლობას აძლევს, ზედამხედველობა გაუწიოს სახელმწიფოს ნებისმიერ გადაწყვეტილებასა თუ ქმედებას და, საჭიროების შემთხვევაში, დააყენოს მისი პასუხისმგებლობის საკითხი. დამოუკიდებელი სასამართლოს წინაშე თითოეული მხარე თანასწორია, განურჩევლად მის ხელთ არსებული ძალაუფლებისა თუ სხვა ნებისმიერი ნიშნისა. ეს კი გულისხმობს, რომ ნებისმიერი სუბიექტის სამართლებრივ საფუძველს მოკლებული ქმედება თუ გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

მაშასადამე, დამოუკიდებელი სასამართლო ის სახელმწიფო ინსტიტუტია, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს კანონის უზენაესობის, დემოკრატიისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვაში, ხოლო ევროკავშირის წევრობაზე იმ სახელმწიფოს პრეტენზია, სადაც სასამართლოს დამოუკიდებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, ლეგიტიმურ საფუძველს მოკლებულია.

---

[9] Committee of Ministers of the Council of Europe, Recommendation CM/REC(2010)12 Judges: independence, efficiency and responsibilities, November 2011, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/cmrec-2010-12-on-independence-efficiency-responsibilites-of-judges/, განახლებულია: 07.06.2024.

[10] ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება (TEU), მე-2 მუხლი, ხელმისაწვდომია: https://www.legislation.gov.uk/eut/teu/contents, განახლებულია: 07.06.2024;

[11] ქეთი გაჩეჩილაძე, „სასამართლოს დამოუკიდებლობა ევროპული სასამართლოს განმარტებით", საქართველოს სასამართლოს გუშაგის ვებგვერდი, 2023 წლის 13 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://courtwatch.ge/articles/judicial-independence, განახლებულია: 07.06.2024.

კავშირი სამართლიან სასამართლოსა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას შორის

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში ვკითხულობთ: ***„ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით.“.***[12] სამართლიანი სასამართლოს უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-10 მუხლითაც,[13] ხოლო ქართველმა კანონმდებელმა იგი გაითვალისწინა სახელმწიფოს უზენაესი კანონის 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტით.[14]

სასამართლოს ხელმისაწვდომობა, მისი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, საქმის საჯარო, გონივრულ ვადაში განხილვა კომპეტენტური, კანონიერი და უფლებამოსილი სასამართლო შემადგენლობის მიერ, უდანაშაულობის პრეზუმფცია და სასამართლოს გადაწყვეტილებათა საქვეყნოობა სამართლიანი სასამართლოს უფლების განუყოფელი კომპონენტებია.

და მაინც, რატომ არ კარგავს სასამართლოს სამართლიანობის საკითხი აქტუალურობას დროსა და სივრცეში?! როგორ ხდება, რომ სამართლიან სასამართლოზე მოთხოვნა მუდმივად არსებობს ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულ საზოგადოებებში?! ამ შეკითხვებზე პასუხი სამართლიანი მართლმსაჯულების სოციალური და სამართლებრივი კუთხით სარგებლიანობაში უნდა ვეძიოთ.

როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლო თითოეული ჩვენგანის ყოველდღიურობის მრავალ ასპექტზე ახდენს უდიდეს ზეგავლენას და გამონაკლისი არც ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხია.

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებები ის განუყრელი და ფუნდამენტური უფლებებია, რომლებიც თითოეულ ჩვენგანს გაგვაჩნია მხოლოდ იმის გამო, რომ ადამიანებად დავიბადეთ. ადამიანის ძირითადი უფლებები განეკუთვნება მექანიზმს, რომელიც სახელმწიფოს ინდივიდებთან ურთიერთობაში უზღუდავს თვითნებურად ქცევის შესაძლებლობას. ეს კი პირთა ღირსებებისა და ინტერესების დაცულობის ერთგვარი გარანტიაა.

„ადამიანის უფლებათა კონცეფცია არის ერთადერთი პოლიტიკური და ზნეობრივი იდეა, რომელმაც უნივერსალური აღიარება მოიპოვა“.[15] ამ თეზისის დადასტურებას მარტივად მოვახერხებთ ისეთი საერთაშორისო კონვენციებისა და დეკლარაციების მოშველიებით, რომლებიც გამოირჩევა ხელშემკვრელ მხარეთა სიუხვით და რომლებითაც საერთაშორისო დონეზეა უზრუნველყოფილი ადამიანის ძირითადი უფლებები. ამგვარი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებია: გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ, ევროპის სოციალური ქარტია და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავსად სხვა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოების კონსტიტუციებისა, საქართველოს მთავარი კანონიც ***„ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს“.***[16]

ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, ძირითადი პასუხისმგებლობა სახელმწიფოთა მთავრობებს ეკისრებათ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციების რატიფიცირებითა თუ ეროვნული კანონმდებლობების მეშვეობით, მთავრობები იღებენ პასუხისმგებლობას, პატივი სცენ და დაიცვან როგორც საკუთარი მოქალაქეების, ისე სხვა ადამიანების უფლებები თავიანთ ტერიტორიებზე და მის ფარგლებს გარეთ.

გამოცდილებამ აჩვენა, რომ აღმასრულებელი შტოს მიერ ამ მოვალეობის შესრულება აუცილებლად საჭიროებს მონიტორინგს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ამ ფუნქციას კი, რაღა თქმა უნდა, ითავსებენ დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლოები. გარდა ამისა, ადამიანის უფლებების დაცვას, ეროვნულ სასამართლოებთან ერთად, ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. არსებობს შემთხვევები, როდესაც დარღვეული უფლებების აღდგენის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალების ამოწურვის შემდეგაც უსამართლობის განცდა კვლავ რჩებათ უფლებადარღვეულ სუბიექტებს. ამგვარ ვითარებაში მათთვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ის ინსტიტუტია, რომელსაც ძალუძს და მოწოდებულიცაა, აღადგინოს სამართლიანობა.

---

[12] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მე-6 მუხლი;

[13] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მე-10 მუხლი;

[14] საქართველოს კონსტიტუცია, 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტი;

[15] Gordon J., The Concept of Human Rights: The History and Meaning of Its Politicization, Brooklyn Journal of International Law, Vol. 23, Issue 3, 1997-1998, 691, ციტირებულია ნაშრომში სალომე ქერაშვილი, ძირითადი უფლებების გავლენა სახელშეკრულებო სამართალზე: ევროპული გამოცდილების მნიშვნელობა ქართული სამართლისთვის, სადოქტორო თეზისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018. ხელმისაწვდომია: https://press.tsu.ge/data/image_db_innova.pdf, განახლებულია: 07.06.2024.

[16] საქართველოს კონსტიტუცია, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი;

რომ შევაჯამოთ, სამართლიანი სასამართლო სწორედ ის მექანიზმია, რომელიც ფოკუსირებულია, უზრუნველყოს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მაღალი სტანდარტების როგორც დაწესება, ისე მათი პრაქტიკული აღსრულება. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მართლმსაჯულების სამართლიანობის გარეშე, კონვენციებსა თუ ეროვნულ კანონმდებლობაში გათვალისწინებულ უფლებებს ძლიერ, ცოცხალ და ქმედით ორგანიზმად ჩამოყალიბება არ უწერია.

კავშირი სამართლიან სასამართლოსა და კანონის უზენაესობის დაცვას შორის

კანონის უზენაესობა არის ის საყოველთაო იდეალი და სასურველი მიზანი, რომლისკენაც ისწრაფვის მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს მოსახლეობა, მთავრობა და ორგანიზაციები. ***„კანონის უზენაესობა საზოგადოებაში სამართლიანობის, შესაძლებლობებისა და მშვიდობის ჩამოყალიბების საფუძველია“***[17] - ასე აფასებს მართლმსაჯულების მსოფლიო პროექტის (WJP) თანადამფუძნებელი უილიამ ნეუკომი კანონის უზენაესობის მნიშვნელობას.

აღსანიშნავია, რომ კანონის უზენაესობის საყოველთაოდ შეთანხმებული დეფინიცია არ არსებობს, თუმცა, თავისი არსით, კანონის უზენაესობა არის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, არავინ დგას კანონზე მაღლა. ის თანაბრად და სამართლიანად ვრცელდება როგორც კერძო პირებზე (იქნებიან ისინი ფიზიკური თუ იურიდიული პირები), ისე ორგანიზაციებსა და ძლევამოსილ სახელმწიფოებზეც კი.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ კანონის უზენაესობა სწორედ ის მექანიზმია, რომლის საშუალებითაც, ძლევამოსილი სუბიექტების ძალაუფლება გარკვეულ საზღვრებში ექცევა. ის უზრუნველყოფს ამ სუბიექტების მიერ ძალაუფლების არამართლზომიერი გამოყენებისა და თვითნებობის პრევენციას. შედეგად, ძალაუფლების არმქონე პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების შელახვის ალბათობა მნიშვნელოვნად მცირდება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ კანონის უზენაესობის მიღწევა და შენარჩუნება მავანთა უმნიშვნელოვანესი საზრუნავია.

კანონის უზენაესობის დაცულობაზე ზეგავლენას მრავალი ფაქტორი ახდენს, თუმცა, მსურს, თქვენი ყურადღება გავამახვილო კანონის უზენაესობასა და სამართლიან სასამართლო სისტემას შორის არსებულ მჭიდრო კავშირზე.

ცხადია, კანონის უზენაესობის დაცვა აუცილებლად მოითხოვს ვერტიკალური თუ ჰორიზონტალური ხასიათის ურთიერთობებში წარმოშობილი დავების გადაწყვეტის ეფექტიანი და სამართლიანი მექანიზმის არსებობას. ეს კი ნიშნავს, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა და სამართლიანი სასამართლოს უფლება ყველასთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ იქნებოდა მართებული, სასამართლო სისტემასა და კანონის უზენაესობას შორის არსებული კავშირი ასეთ ვიწრო ჭრილში განგვეხილა.

ასევე, აუცილებელია, შევეხოთ საკითხს, როგორ უწყობს ხელს მართლმსაჯულების სამართლიანობა სტაბილური, პროგნოზირებადი და თანასწორი სამართლებრივი გარემოს ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, კანონის უზენაესობის განუყოფელი კომპონენტია. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამგვარი გარემოს ჩამოყალიბების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი სწორედ წესისამებრ მიღებული და გამოქვეყნებული სამართლებრივი ნორმებია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია და არცაა სასურველი, ყველაფერი, რაც საზოგადოებაში ხდება, კანონით წინასწარ დარეგულირდეს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ „გადაჭარბებული“ რაოდენობის საკანონმდებლო ნორმებს საზოგადოება თავისუფლების შემზღუდველად აღიქვამს, რაც მათ უკმაყოფილებას იწვევს. გარდა ამისა, სხვადასხვა ობიექტური მიზეზიდან გამომდინარე, პერიოდულად იქმნება კანონთა ცვლილების აუცილებლობაც, მაგრამ ფართომასშტაბიანი ცვლილებები გაურკვევლობას იწვევს, ეს კი მაქსიმალურად თავიდან უნდა იყოს აცილებული. სწორედ ამგვარ პირობებში იკვეთება ურთიერთკავშირი მართლმსაჯულების სამართლიანობასა და კანონის უზენაესობას შორის. ასეთ სიტუაციებში სასამართლოა ის კომპეტენტური ინსტიტუტი, რომლის სამართლიან გადაწყვეტილებასაც შეუძლია, შეავსოს საკანონმდებლო ვაკუუმი და უზრუნველყოს კანონით დაურეგულირებელი ურთიერთობების მართებული და გონივრული მოწესრიგება.

გარდა ამისა, სასამართლოს ფუნქციებს უნდა მივაკუთვნოთ, კანონთა ინტერპრეტაციის გზით, სამართლებრივი ნორმების მნიშვნელობის გააზრებისა და ამასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობაც. მოგეხსენებათ, ამა თუ იმ სამართლებრივი ნორმის განმარტებისას სასამართლო

[17] ნეუკომი, „რა არის კანონის უზენაესობა?“, მართლმსაჯულების მსოფლიო პროექტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://worldjusticeproject.org/about-us/overview/what-rule-law, განახლებულია: 07.06.2024.

მხედველობაში იღებს ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის დამახასიათებელ ფაქტობრივ გარემოებებს, რითაც უზრუნველყოფს იმ კონკრეტულ საქმეთა სამართლიან გადაწყვეტას, ხოლო კანონის მართებულ, გაადამიანურებულ ვერსიას წარადგენს და ავრცელებს საზოგადოებაში.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც სასამართლოს სამართლიანობასთან დაკავშირებით ეჭვები არ არსებობს, სუბიექტებს გაცილებით უადვილდებათ, განჭვრიტონ, ამა თუ იმ პრობლემის წამოჭრის შემთხვევაში რა წესები ამოქმედდება და როგორ გადაწყდება უთანხმოება. ეს კი მათში მომავლის გაურკვევლობის განცდას ამსუბუქებს. ზოგადად, სამართლიანი სასამართლო გავლენას ახდენს უთანხმოებათა პრევენციაზეც. დავამატებდი, რომ სამართლიანი მართლმსაჯულების პირობებში მნიშვნელოვნად უმჯობესდება ნდობა სასამართლო სისტემისადმი, შესაბამისად, საზოგადოებაში მატულობს სასამართლოს გადაწყვეტილებების აღიარებისა და შესრულების ბუნებრივი სურვილიც.

ამდენად, კანონის უზენაესობის მიღწევის საქმეში განსაკუთრებულ როლს სწორედ სამართლიანი სასამართლო სისტემა ასრულებს. ამიტომაც, უმნიშვნელოვანესია, მოსამართლეები ინდივიდუალურად და კოლექტიურად მოწადინებულნი იყვნენ, კანონი გამოიყენონ მიკერძოებისა და ზეგავლენის გარეშე.

კავშირი სამართლიან სასამართლოს, ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასა და მოქალაქეების სოციალურ კეთილდღეობას შორის

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო იმ სახელმწიფო ინსტიტუტების რიცხვში შედის, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის ნოყიერი ნიადაგის მომზადებაში.

სახელმწიფოთა ეკონომიკური წინსვლა პირდაპირ უკავშირდება კერძოსამართლებრივი უფლებების ეფექტიან დაცვას. ამ უფლებების დაცულობა საფუძვლად უდევს სახელმწიფოში ეკონომიკურ აქტიურობას, საინვესტიციო შესაძლებლობების გამრავალფეროვნებას, „ბიზნეს ნდობის" გაუმჯობესებასა და საკრედიტო ბაზრის მოწესრიგებას. სახელმწიფოში რაოდენ ძლიერი სამართლებრივი ჩარჩოც არ უნდა არსებობდეს ამ უფლებების დასაცავად, ეკონომიკური წინსვლისთვის მაინც არ იქნება ეს საკმარისი, თუკი სასამართლო სისტემა არ უზრუნველყოფს მათ სამართლიან აღსრულებას.

არ იქნებოდა მართებული, გვეცადა იმ ლოგიკური ბმის უარყოფა, რომელიც არსებობს სასამართლოს სამართლიანობისადმი ადამიანების ნდობასა და სტაბილურობის განცდას შორის. სტაბილურობის შეგრძნება მომავლის განჭვრეტის შესაძლებლობასთანაა დაკავშირებული, რაც, თავის მხრივ, ეფექტიანი ეკონომიკური საქმიანობის აუცილებელი წინაპირობაა. სწორედ ამგვარი მოცემულობა უბიძგებს პოტენციურ უცხოელ ინვესტორებს, თავიანთი საინვესტიციო საქმიანობა გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმონ და განახორციელონ პირდაპირი ინვესტიციები ამა თუ იმ უცხო ქვეყანაში. ეს კი, ბუნებრივია, სახელმწიფოთა ეკონომიკურ ზრდაზე დადებითად აისახება. ცხადია, ქვეყანაში ეკონომიკური წინსვლის მისაღწევად არ კმარა მხოლოდ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. აუცილებელია ასევე ადგილობრივთა დაინტერესება და წახალისება საბაზრო სექტორში ჩასართავად. ამ მიზნის მიღწევაში კი კვლავ სამართლიანი სასამართლო სისტემა უნდა ასრულებდეს თავის ეფექტიან როლს.

სამართლიან სასამართლოსა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შორის არსებულ კავშირს ადასტურებს არაერთი კვლევის შედეგიც. მაგალითად, მსოფლიო ბანკის 2004 წლის ანგარიშში[18] გამოიკვეთა, რომ ქვეყნებში, სადაც სასამართლო სისტემა ხარვეზულად ფუნქციონირებდა და ადამიანებს სამართლიანი არბიტრი არ ეიმედებოდათ, ბიზნეს ურთიერთობებს მხოლოდ ისეთ პირებთან აწარმოებდნენ, რომლებსაც პირადად იცნობდნენ და ენდობოდნენ. ამის გამო კი, მათ ბევრ ისეთ შეთანხმებაზე უწევდათ უარის თქმა, რომელიც მათთვის პოტენციურად გაცილებით დიდი სარგებლის მომტანი იქნებოდა.[19] ცხადია, ამგვარ პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკურ წინსვლაზე საუბარი ზედმეტია.

ამავე ანგარიშში არგენტინისა და ბრაზილიის მაგალითზე ნაჩვენებია, რომ ხსენებულ სახელმწიფოთა იმ პროვინციებსა და შტატებში, სადაც სასამართლოს სამართლიანობა მეტად იყო დაცული, ბანკები უკეთეს სასესხო პირობებს სთავაზობდნენ მსურველებს. მოწესრიგებული საკრედიტო სისტემა კი ნამდვილად შეგვიძლია მივიჩნიოთ ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორად.[20]

[18] The World Bank, world development report, Washington DC, A copublication of the World Bank and Oxford University Press, 2004, ხელმისაწვდომია: https://openknowledge.worldbank.org/content, განახლებულია: 03.05.2024.
[19] იქვე;
[20] იქვე;

გარდა ამისა, ანგარიშში მოცემულია მექსიკის სახელმწიფოს შემთხვევაც, რომლის მაგალითზეც გამოიკვეთა, რომ დიდი და მაღალშემოსავლიანი ფირმების უმეტესობა მექსიკის სწორედ იმ შტატებშია თავმოყრილი, სადაც სასამართლოს სამართლიანობის ხარისხი შედარებით მაღალია.[21]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, მკითხველისთვის თვალსაჩინო უნდა იყოს, რომ სამართლიანი სასამართლო ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური წინსვლის საწინდარია.

სახელმწიფოთა ეკონომიკურ განვითარებაზე საუბრისას აქტუალურობას იძენს მოქალაქეთა სოციალური კეთილდღეობის საკითხი. მოგეხსენებათ, ამასთან დაკავშირებული პრობლემების უმეტესობა, მიუხედავად სხვადასხვა სახელმწიფო ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან დიდი ძალისხმევისა, დღემდე გადაუჭრელი რჩება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო სისტემათა სამართლიანობის გარეშე მოქალაქეთა სოციალური კეთილდღეობის მიღწევა სრული უტოპიაა.

სასამართლოს მხრიდან სამართლიანობის მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით არაპირდაპირ უარზე შეიძლება მიუთითებდეს სასამართლოში საქმის მიღებისა და განხილვის კრიტერიუმების არაგონივრული სიმკაცრე და სირთულე, სასამართლო ხარჯების ზომიერების ფარგლებთან შეუსაბამობა და სუბსიდიების არარსებობა იმ პირთათვის, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ სასამართლო ხარჯებზე, ასევე, სასამართლო პროცესების უსაფუძვლოდ გაჭიანურება და გადაწყვეტილებათა არაგონივრულ ვადაში მიღება-აღსრულება. სასამართლოს ამგვარი არასამართლიანი ფუნქციონირება დიდ ეკონომიკურ და სოციალურ ზიანს აყენებს ადამიანთა კეთილდღეობას, მაშინ, როდესაც სამართლიანი მართლმსაჯულება დაზოგავდა პროცესის მონაწილეთა როგორც დროს, ისე ფულად რესურსებს, რაც, ცხადია, დადებითად აისახებოდა მოქალაქეთა სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე.

მაშასადამე, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ სასამართლო სისტემების უსამართლობა ძირს უთხრის როგორც სახელმწიფოთა ეკონომიკურ წინსვლას, ისე ცალკეულ მოქალაქეთა სოციალურ კეთილდღეობას.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, ზოგიერთ ადამიანს მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ მოუწიოს სასამართლოსთან ჩავლაც კი, მაინც ვერ უარვყოფთ იმ ფაქტს, რომ სასამართლოები საზოგადოების ყოველდღიურობაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენენ.

ნებისმიერ დროს შეიძლება ჩვენს ღირსებას, უფლებებს, თავისუფლებებსა და კანონიერ ინტერესებს საფრთხე დაემუქროს, ჩვენ კი თავისუფლად უნდა შეგვეძლოს, მივმართოთ ორგანოს, რომელიც სამართლიანობის აღდგენაში დაგვეხმარება. რწმენა იმისა, რომ არსებობს ჩვენს საჭიროებებზე ორიენტირებული სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, ხელს შეგვიწყობს ამა თუ იმ პრობლემის დაძლევასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში, არის ის, რაც თვითიუსტიციის სურვილს გვიქრობს, ხოლო სახელმწიფოებს უტოვებს უფლებამოსილებას, ჩვენი ჩარევის გარეშე, აღადგინონ დარღვეული სამართლიანობა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ნათლად გამოიკვეთა სასამართლოს, როგორც საზოგადოების მცველის, როლი ევროკავშირსა თუ საქართველოში.

[21] იქვე.

ბიბლიოგრაფია

- საქართველოს კონსტიტუცია. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი. №786. 1995 წლის 24 აგვისტო;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია [European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms]. ევროპის საბჭო. ევროპული შეთანხმებების სერია (ან ETS) 5. 1953 წლის 4 ნოემბერი;
- ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია [Universal Declaration of Human Rights]. გაეროს გენერალური ასამბლეა. 1948 წლის 10 დეკემბერი;

ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება. [Consolidated Version Of The Treaty On European Union]. ევროკავშირი. მაასტრიხტი, 1992. ხელმისაწვდომია: https://www.legislation.gov.uk/eut/teu/contents. განახლებულია: 07.06.2024;

გაჩეჩილაძე ქეთი. „სასამართლოს დამოუკიდებლობა ევროპული სასამართლოს განმარტებით“. საქართველოს სასამართლოს გუშაგის ვებგვერდი. 2023 წლის 13 ივნისი. ხელმისაწვდომია: https://courtwatch.ge/articles/judicial-independence. განახლებულია: 07.06.2024;

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის. ბროშურა სასამართლოს შესახებ. კოალიციის დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი. 2023 წლის 1 თებერვალი, ხელმისაწვდომია: http://www.coalition.ge/files/geo-web.pdf. განახლებულია: 07.06.2024;

ნეუკომი უილიამ. „რა არის კანონის უზენაესობა?“. მართლმსაჯულების მსოფლიო პროექტის ვებგვერდი. ხელმისაწვდომია: https://worldjusticeproject.org/about-us/overview/what-rule-law. განახლებულია: 07.06.2024;

ნოდია გიორგი. „შესავალი თომას ჰობსის „ლევიათანთან“ დაკავშირებით“. ნაშრომში შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. რედაქტორი გიორგი ნოდია. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019. ხელმისაწვდომია: https://library.iliauni.edu.ge/SHTA-7-2019-book-1.pdf. განახლებულია: 07.06.2024;

ჯავახიშვილი მიხეილ. „დამოუკიდებელი სასამართლო“. გაზეთი ივერია. 1906 წელი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3b2p97p. განახლებულია: 07.06.2024;

ჰობსი თომას. „ლევიათანი“. ნაშრომში შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. რედაქტორი გიორგი ნოდია. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019. ხელმისაწვდომია: https://library.iliauni.edu.ge/SHTA-7-2019-book-1.pdf. განახლებულია: 07.06.2024;

Committee of Ministers of the Council of Europe. Recommendation CM/REC(2010)12 Judges: independence, efficiency and responsibilities. November 2011, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/cmrec-2010-12-on-independence-efficiency-responsibilites-of-judges/. განახლებულია: 07.06.2024;

Consultative Council of European Judges. OPINION No 1 for the attention of the Committee of Ministers of the Council of Europe on standards concerning the independence of the judiciary and the irremovability of judges. Strasbourg, 23 November 2001, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/1680747830. განახლებულია: 07.06.2024;

J. Gordon. The Concept of Human Rights: The History and Meaning of Its Politicization. Brooklyn Journal of International Law Vol. 23. Issue 3. 1997-1998, 691, ციტირებულია ნაშრომში ქერაშვილი სალომე. ძირითადი უფლებების გავლენა სახელშეკრულებო სამართალზე: ევროპული გამოცდილების მნიშვნელობა ქართული სამართლისთვის. სადოქტორო თეზისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018. ხელმისაწვდომია: https://press.tsu.ge/data/image_db_innova.pdf. განახლებულია: 07.06.2024;

The World Bank. world development report. Washington DC. A copublication of the World Bank and Oxford University Press, 2004. ხელმისაწვდომია: https://openknowledge.worldbank.org/content, განახლებულია:07.06.2024. ხელმისაწვდომია:https://openknowledge.worldbank.org/server/api/core/bitstreams/b34c6637-9b66-570d-9df2-63c004f2860b/content. განახლებულია: 03.05.2024.